გილოცავთ შობა-ახალ წელს!



New ახალი აგრარული საქართველო

ISSN 1987-8729

9 771987 872003

სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№1 (45), იანვარი, 2015

უმაღლესი ხარისხის თესლი

იყიდეთ!

სიმინდი
- ქართული კრუგი
- წეროვანი 1
- აჯამეთის თეთრი

სოია (არაგენმოდიფიცირებული)
- უნივერსალი
- უნივერსალი 1
- კოლხიდა

შვრია
- ვალდინი (კრასნოდარი)

ადგილზე მიტანის სერვისი

- თანამედროვე დანადგარებზე გაწმენდილი
- დაკალიბრებული
- მაღალხარისხიანი პრეპარატით დამუშავებული

წარმოებულია აგრარული უნივერსიტეტის საცდელ ბაზებზე

☎ 595 29 07 20 სართიჭალა
551 77 24 84 მუხრანი
577 34 75 61 აბაშა

GRIMME

გერმანული კომპანია GRIMME-ს კარტოფილის, ჭარხლის და სხვა ბოლქვოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნიკა და ტექნოლოგიები

ოფიციალური დილერი

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ალიანს ჯგუფი
ლიზინგი

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

ASCA
ასკა

ახალი აგრარული საქართველო
AKHALI AGRARULI SAQARTVELO
(New Agrarian Georgia)
ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.
Monthly scientific-informative magazine
იანვარი, 2015 წელი.
№1 (45)

სარედაქციო კოლეგია:
შოთა მაჭარაშვილი *(მთ. რედაქტორი)*, ნუგზარ ებანოიძე, რეზო ჯაბნიძე, მიხეილ სოხაძე, თამარ სანიკიძე, ნოდარ ბრეგვაძე, *ბექა ჯონაშვილი*, გიორგი ბარისაშვილი *(მევენახეობა-მეღვინეობის რედაქციის რედაქტორი)*, თამთა გუგუშვილი *(ინგლ. ვერს. რედაქტორი)*.

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:
აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარობლიძე *(თავმჯდომარე)*, გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტკარაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგზარ ებანოიძე, პაატა კოღუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, პეტრე ნასყიდაშვილი, ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, ზაურ ჯულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო კახნიაშვილი, ადოლ ტყეშელაშვილი, ნატო კაკაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშხი, ომარ თევდორაძე, ნუგზარ სარჯველაძე, თენგიზ ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამომცემელი:
„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;
Regionica – Georgian Research Center for Regional Economic Priorities.
რედაქციის მისამართი:
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53
www.regionica.org/journal.html
agroasca@gmail.com

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
(ციფრული ბიბლიოთეკა)
www.dspace.nplg.gov.ge
ახალი აგრარული საქართველო

დაკაბადონა გიორგი მაისურაძემ
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
The journal acts in accordance with the principles of free press.
© საავტორო უფლება დაცულია.
All rights reserved.
რეფერირებადია 2011 წლიდან
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge

ნომერში წაიკითხავთ:

4 გასულ 2014 წელი ქართულ მეღვინეობაში

6 **რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან**

ამ წერილის მიზანია, ხელისუფალთ შეახსენოს მსოფლიოს ყველაზე მოწინავე სახელმწიფოს და მისი მეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე დარგის – სოფლის მეურნეობის – გაძღოლის ანბანი.

12 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სოფლის მეურნეობა

14 ვინ დაარეგულირებს მათ ურთიერთობას

16 სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში არსებული პრობლემები და გაუმჯობესების შესაძლებლობები

11 **საქართველოს სოფლის მეურნეობა – რეალობა და მითები**

სხვა სექტორებში ამ უშუალო სამუშაო ადგილების შექმნის გარდა სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია ნიშნავს უფრო მეტ და უკეთეს წარმოებას და მაშასადამე, უკეთეს შემოსავალს.

21 სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების და ბიოასოციაციების საფუძველზე ბიომეურნეობის (ბიოკოოპერატივის) ფორმირება

25 საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აგროწესები

23 **ძროხის ადგილობრივი ჯიშების მნიშვნელობა ორგანული მეურნეობისათვის**

დაავადებებისა და არასასურველი გარემო პირობებისადმი გამძლე ჯიშების და ხაზების შექმნის ერთ-ერთი სწრაფი და იაფი გზაა ადგილობრივი გენოფონდის გამოყენება.

28 გრეიპფრუტის ნაყოფების სამკურნალო მნიშვნელობა და მათი გამოყენება

30 ერეკლეს ქვევრი

31 თირკმელა სოკო - ტრუფელი

32 უგემრიელესი სადღესასწაულო კერძები

გამოიწერეთ ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“! პრესის გავრცელების საბაზებში:

„ელვა.ჯი“ ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74);
„საქპრესა+“ (0 (32) 2518518).

1 წლით ჟურნალის გამოწერა ღირს 24 ლარი,
6 თვით – 12 ლარი.

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებადია 2009 წლიდან.

განვლილი 2014 წელი ქართულ მეღვინეობაში

გთავაზობთ განვლილ – 2014 წელს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში მომხდარი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენების მოკლე მიმოხილვას.

თავდაპირველად შევეხოთ მოსავლის წელს. 2014 წელს ვაზის კვირტმა უჩვეულოდ ადრე გაიღვიძა, რასაც ნაადრევი ყვავილობა მოჰყვა. ეს მოვლენები ასევე ნაადრევი რთველით დასრულდა, თუმცა კვირტობიდან რთვლამდე ქართული მევენახეობის სფერო ძირითად პრობლემას – მავნებელ-დაავადებების მოძალებას შეხვდა, რასაც გაზაფხულის სიცივეები, ზოგან კი წაყინვებიც დაერთო. ამის შემდეგ კი დაიწყო ძლიერი გვალვები, რამაც, მაგალითად, ქიზიყის ზოგიერთ ადგილას ვენახები ძირიანად გაახმო. გვალვებისა თუ მავნებელ-დაავადებების მოძალების გამო განსაკუთრებით დასავლეთის რეგიონებში ყურძნის მოსავალი ჩვეულებრივზე გაცილებით მცირე იყო, რაც უპირატესად ვაზის თეთრყურძნიან ჯიშებს დაეტყო. სტიქიურ მოვლენებს წინ ვერავინ გადაეღობება, მაგრამ ზოგიერთი მოვლენის თავიდან აცილება, თუკი საქმეს ძირეული ცოდნით მივუდგებით, ნამდვილადაა შესაძლებელი. მეორე საკითხია, თუ სადაა ეს ძირეული ცოდნა? ამ მხრივ საქართველოში ნამდვილად სავალალო მდგომარეობაა და ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს სრულ გამოუცდელობასთან, რის დროსაც მევენახეს ერთმანეთში ვერ გაურჩევია ვაზის მავნებელი თუ სოკოვანი დაავადება და სხვ. გარდა მხცოვანი, გამოცდილი მევენახეებისა (რომლებიც საკმაოდ ცოტანი თუ არიან), მსგავსი დეტალები ძირითადი მოსახლეობისათვის, რომლებიც ასე თუ ისე უვლიან ვაზს – უცნობია. ამ მძიმე ვითარებას მევენახეობის თანამედროვე ლიტერატურის უქონლობაც ემატება...

ვაზის ნერგის წარმოებასაც შევეხოთ ორი სიტყვით. აქაც არაერთი პრობლემაა. კერძო მენამყენეების უმეტესობას მეხსიერების კუნჭულშიღა თუ შემორჩა ის, რომ ვაზის კვირტი შესაბამის საძირეზე უნდა დაემყნოს, რის დროსაც გასათვალისწინებელია ვაზის ზრდის სიძლიერე და მისი მისადაგება საძირესთან, ადგილობრივი კლიმატი, ვაზის ჯიში, ნიადაგის ტიპი თუ სხვა. ამჟამად კი, უმეტეს შემთხვევაში კერძო მენამყენეებთან ნამყენის წარმოება არა წიგნიერად, არამედ ღობისძირებში აჭრილ მწარე ვაზზე მყნობით ხდება, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

2014 წელი მევენახეობა-მეღვინეობის ლიტერატურის გამოცემებით წინა წელთან შედარებით გამორჩეული ნამდვილად იყო. აქედან გამომდინარე ამ წელს ხელთა გვაქვს რამდენიმე საინტერესო გამოცემა.

● დავიწყოთ უკვე ტრადიციად ქცეული ყოველწლიური გამოცემით – „ქართული ღვინის გზამკვლევი 2014“. გზამკვლევი უკვე მესამედ გამოიცა და ის დიდ სამსახურს უწევს ქართველებსა თუ უცხოელებს, რომლებიც ინტერესდებიან ქართული ღვინითა და ასევე ღვინის ტურიზმით. ხსენებულ გზამკვლევში საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყოველი რეგიონია განხილული და აქვე თითქმის ყოველი ისეთი მარანიცაა შესული, რომლებიც ასე თუ ისე ჩართულები არიან ღვინის ტურიზმის საქმეში.

● საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის გაერთიანებამ 2014 წელს ემილ პეინოს ნაშრომი ფრანგულიდან ქართულად თარგმნა და ამ თარგმანის საფუძველზე გამოსცა წიგნი – მეღვინეობა, რომელიც ნამდვილად დაინტერესებს ამ სფეროთი დაინტერესებულ საზოგადოებას.

● გასულსავე წელს შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი ჩაეყარა საინტერესო ჟურნალს –„ღვინო, როგორც კულტურა“. ამ ეტაპზე ჟურნალის მხოლოდ პირველი ნომერია გამოცემული, მაგრამ იგეგმება მისი კვარტალურად გამოცემა.

● ღვინის მოყვარულთათვის ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა ახლახანს გამოცემული წიგნი - „ღვინის დაგემოვნება, პრაქტიკული კურსი“. ჩვენში აქამდე ამ მასშტაბის ნაშრომი არ გამოცემულა და მიუხედავად მისი სიახლისა, გამოცემა საკმაოდ პოპულარული გახდა დარგის სპეციალისტებშიც კი.

● ვაზისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წელს გამოიცა ბროშურა „ქართული ღვინის კულტურა“.

● ბ.მ.ა. „ელკანამ“ 2014 წელს გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო მეურნეთათვის – „ვაზის მწვანე ოპერაციები და მავნებელ-დაავადებები“.

რაც შეეხება ქართული ღვინის შესახებ უცხოურ გამოცემებს. გასულ - 2014 წელს ქართული მეღვინეობის სფეროს ერთბაშად ორი საინტერესო ნაშრომი შეემატა.

● ელის ფეირინგის წიგნი “SKIN CONTACT”, რომელიც ქალბატონმა ელისმა შარშანწინ საქართველოში ვიზიტის დროს დაწერა. წიგნი ძირითადად ეძღვნება საქართველოში ნატურალური მეღვინეობის მიმართულებას. გარდა ამ წიგნისა, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი ავტორს თითქმის დასრულებული აქვს ახალი წიგნი ქართული ტრადიციული მეღვინეობის შესახებ, რომელსაც სავარაუდოდ მომავალ წელს ვიხილავთ.

● და მეორე გამოცემა, რომელიც დაწერეს საქართველოსა და ქართული ტრადიციული ღვინის მეგობრებმა – ტერრი და კეიტ სალლივანებმა: “Georgia, Sakartvelo: The Birthplace of Wine” (საქართველო – ღვინის სამშობლო).

რაც შეეხება საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში ჩატარებულ ღონისძიებებს აქ, ალბათ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 2014 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩატარებული ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია. აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება სხვადას-

ხვა ქვეყნებში. მაგალითად, 2015 წელს ის ჩატარდება საფრანგეთში, შამპანის ოლქში და ა.შ. კონფერენციაში მონაწილეობა ქართული მხარისათვის მეტად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით კი ისაა მნიშვნელოვანი, თუ როგორ წარვუდგენთ ამა თუ იმ ინფორმაციას დამსწრე საზოგადოებას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ჩატარებულ კონფერენციაზე საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის მაშინდელი მმართველის გამოსვლას არასერიოზული ხასიათი ჰქონდა, რაც ერთხმად აღნიშნეს კონფერენციის როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა დამსწრეებმაც...

2014 წელი გამორჩეული იყო მეღვინეობის შიდა გამოფენა-დეგუსტაციებითაც.

● ბათუმის ოჯახში დაყენებული ღვინის ფესტივალი, რომელიც უკვე მერვედ ჩატარდა.

● საქართველოს ღვინის კლუბის მიერ ორგანიზებული ახალი ღვინის ფესტივალი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა ყოველი წლის გაზაფხულზე.

● რაჭა-ლეჩხუმისა და ქართლის ღვინის ფესტივალები ამბროლაურსა და გორში, რომელიც ტარდება ქართული ტრადიციული მეღვინეობის გაერთიანების ეგიდით.

ხოლო დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქებში ჩატარებული ღვინის დეგუსტაციები იმდენჯერ ეწყობა, რომ მათი ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს...

არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოეთში ჩატარებული მეღვინეობის კონფერენციები, შეხვედრები, დეგუსტაციები და სხვ. გასულ წელს ამგვარი ღონისძიებები არაერთხელ ჩატარდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ ნამდვილად აღნიშვნის ღირსია გვიან შემოდგომით იაპონიასა და იტალიაში ჩატარებული ორი ფართომასშტაბიანი ღონისძიება. კონკრეტულად კი 2014 წლის ნოემბრის ბოლოს იაპონიაში ჩატარდა ნატურალური ღვინის გამოფენა, სადაც 8 ქართველმა მეწარმემ წარადგინა ქვევრში დაყენებული ბუნებრივი ღვინო. ამავე ღონისძიების ფარგლებში მოეწყო კონფერენციაც, სადაც ქართულ მხარეს საშუალება ჰქონდა ფართო საზოგადოებისათვის მოეთხრო ქართული ნატურალური ღვინის ისტორია. ღონისძიება იგეგმება მომავალ წელსაც. და მეორე ღონისძიება, რომელიც იტალიაში, კერძოდ ტოსკანაში ჩატარდა და წარმოადგენდა თიხის ჭურჭელში დაყენებული ღვინოების კონფერენციასა და ასევე გამოფენას. ორივე ღონისძიებაში ქართული მხარის მონაწილეობა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რასაც ნამდვილად მოჰყვა გამოხმაურებაცა და წარმატებაც. ამ მხრივ კი ჩვენი მთავარი წარმატება გახლავთ ის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ხალხს ქართულ ღვინოს მართებულად წარვუდგენთ და ამ უკანასკნელზე მათ სწორ ინფორმაციას ვაწვდით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წამოწყება, რომელსაც საფუძველი 2014 წელს ჩაეყარა ესაა რეჟისორ ნანა ჯორჯაძის მიერ წამოწყებული ფილმის გადაღება ქართულ ღვინოზე. ზოგადად ქართული ღვინის შესახებ ფილმებს საქართველოს მოსახლეობა შეიძლება ითქვას, რომ მოკლებულია. სწორედ ამიტომ ქართული საზოგადოება დიდი ინტერესით ელის ქალბატონი ნანას მიერ გადაღებული ფილმის ეკრანიზაციას.

ასევე აღსანიშნავია ის წამოწყებაც, რომელიც აჭარის ტელევიზიამ 2014 წელს დაიწყო ყოველკვირეული გადაცემა „ქვევრისპირულის“ სახით. პროექტი ერთწლიანია და მიზნად ისახავს

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონების შემოვლასა და ღვინის დაყენებისა და ვაზის მოვლის ტრადიციების კინოფირზე აღბეჭდვას. 2014 წელს გადაცემა „ქვევრისპირულის“ 10-მდე სერია ეთერში უკვე გავიდა. წინ კიდევ არაერთი საინტერესო სერია გველის.

არ შეიძლება მოკლედ მაინც არ შევეხოთ საქართველოს კანონს ვაზისა და ღვინის შესახებ. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ კანონი გარკვეულ ცვლილებებს ნამდვილად საჭიროებს, თანაც სასწრაფოდ. სხვას რომ თავი დავანებოთ, თუშური გარმონივით გაწელილი მევენახეობის მიკროზონების საკითხი ითხოვს ყველაზე სწრაფად მიხედვასა და დარეგულირებას. იმედი ვიქონიოთ, რომ ამგვარი უხერხულობები 2015 წელს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოგვარდება. ასევე შველას ითხოვს ჩვენი ტრადიციული და უნიკალური სასმელი – „ჭაჭაც“. ჯერჯერობით მთავრობის მხრიდან ყველაფერი კეთდება, რომ „ჭაჭის“ ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში არ განვითარდეს. თუ ვის აძლევს ამგვარი გარემოება ხელს, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს... გარდა ამისა, დასარეგულირებელია საკითხი, რომლის შემთხვევაშიც ქართული ღვინის ქარხნების მიერ წარმოებულ გაზავებულ ღვინის სპირტს ჩამოსხმული ბოთლის ეტიკეტზე აწერია „ჭაჭა“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან „ჭაჭა“ და გაზავებული ღვინის სპირტი სხვადასხვა პროდუქტებია და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. აქვე უნდა ითქვას, რომ 2014 წელს უკვე მოეწყო ქართული „ჭაჭის“ საკითხის გარშემო პირველი შეხვედრა, დეგუსტაცია და დისკუსია ღვინის ბარ – „wine underground-ში“ (ტაბიძის 15).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრში დაყენებული ტრადიციული ღვინის ცნობადობა წინა წლებთან შედარებით გაცილებითაა გაზრდილი და ეს პროცესი სულ უფრო და უფრო ძლიერდება. მავანის უკულმართი მეცადინეობის მიუხედავად საერთო საქმე გაჭირვებით, მაგრამ მაინც წინ მიდის. წარმატებას ვუსურვებთ ქართულ ღვინოსა და „ჭაჭას“, ასევე ამ დიდებული პროდუქტების „მეგობრებსაც“ და იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი მოსავლის ღვინო წინა წლებთან შედარებით უკეთესი იქნება, რასაც ყველაზე ადრე გამოავლენს 2015 წლის „ახალი ღვინის ფესტივალი“.

გიორგი ბარისაშვილი,
მცხეთა 2014 წ.

რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან

უმთავრესი პროგლემა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის წინაშე დგას, ეკონომიკურ ზრდას ეხება. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ სწორედ აშშ-ში იჩენს თავს, რადგან ამერიკული წარმატების საწინდარი სწორედ ეკონომიკური ზრდაა, რომლისთვისაც ჩავარდნები და დეპრესიებიც კი კარგადაა ცნობილი. განუწყვეტელი ეკონომიკური აღმავლობის მისაღწევად აშშ-ის ადმინისტრაცია ეკონომიკის ისტორიაში აპრობირებულ მეთოდს, რეკონსტრუირებას მიმართავს. ეკონომიკა გარკვეულწილად იმეორებს გარკვეულ თემებს და კაპიტალიზმი ხელოვნურად იწვევს ხელახალ გამოცოცხლებას. რეკონსტრუირებული სექტორის მოცულობა შედარებით მცირდება, მაგრამ იგი უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი ხდება. აღნიშნული პროგრესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს, მაგრამ საუკეთესო შედეგი თითქმის გარანტირებულია.

ამ წერილის მიზანია, ხელისუფალთ შეახსენოს მსოფლიოს ყველაზე მოწინავე სახელმწიფოს და მისი მეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე დარგის – სოფლის მეურნეობის – **გაძღოლის ანბანი. ღმერთმა ინებოს, ფაქტების ენა სწორად გაიგონ.**

აგრარულ სფეროს მთელი რიგი თავისებურებების გამო განვითარებული სახელმწიფოების მთავრობები საკმაოდ მკაცრად არეგულირებენ. ერთი შეხედვით, ეკონომიკური თვალსაზრისით, ამგვარი რამ გაუმართლებელიც შეიძლება იყოს, მაგრამ რეალობამ აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობაში საბაზრო კანონების სტიქიური მოქმედება ქვეყნის ეროვნული უშიშროებისთვის დიდი რისკ-ფაქტორია. ამის დასტურია 1930-იან წლებში აშშ-ში განვითარებული მოვლენები, როდესაც ე.წ. „დიდი დეპრესიის" დროს სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება უმნიშვნელოვანეს მადესტაბილიზებელ ფაქტორად იქცა მთელი ქვეყნისათვის, რის შედეგადაც

ამოქმედდა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მართვადი და პროგნოზირებადი გახდა.

ამერიკის ხელისუფლების უდიდეს ყურადღებას აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის მიმართ ისიც განაპირობებს, რომ ეს დარგი აშშ-ის ეკონომიკის საფუძველია და მასზე ზრუნვა უმაღლეს ეროვნულ ინტერესებში შედის. აქ პირდაპირ ან ირიბად იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტის მეოთხედი ნაწილი და მისი ფუნქციონირება სამუშაოთი უზრუნველყოფს შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს. ყოველივე ეს არის მიზეზი იმისა, რომ მთავრობა არ იშურებს ფინანსებს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის.

აშშ-ში აგრარულ სფეროს, გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა, არეგულირებს ე.წ. „აგრარული კანონები", რომელთაც კონგრესი 5-6 წლის პერიოდულობით იღებს და მათი მოქმედებისას ამერიკის აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტებია.

1985 წელს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ინიციატივით კონგრესმა მიიღო კანონი **„აშშ-ის სასურსათო უშიშროების შესახებ"**. მასში აისახა ქვეყნის შიდაპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება და თავისი არსით იურიდიული საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ახალ ეტაპს. უპირველეს ყოვლისა მან ხაზი გაუსვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებულ დარგს, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია აშშ-სთვის. რეიგანმა რადიკალურად შეცვალა სახელმწიფოს მიდგომა სასოფლო-სამეურნეო რესურსების გამოყენებისა და სასურსათო უშიშროებისადმი. ცნობილია, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ ბევრი გააკეთა კერძო ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის შესაზღუდად და ამ მიზნებისთვის საბიუჯეტო ასიგნების შესამცირებლად, მაგრამ არა სოფლის მეურნეობის სფეროში. აქ ასეთი ზემოქმედების მექანიზმი და დაფინანსებისადმი მიდგომა ხელუხლებელი დარჩა. უფრო მეტიც, შემოღებულ იქნა არსებითი ხარისხობრივი და რაოდენობრივი სიახლეები სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც აისახა 1985 წლის კანონში აშშ-ის სოფლის მეურნეობის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის ლეგალიზებისთვის, იყო შემდეგი ცვლილებები.

პირველი, 80-იან წლებამდე კანონმდებლობის მთელი ფრაზეოლოგია და პათოსი მიმართული იყო საოჯახო ფერმის მხარდასაჭერად. 1985 წლის კანონში ეს უკვე სხვაგვარად ჟღერს. ადრე ერთიანი პოლიტიკური ხაზიდან გამოყოფილი იყო ორი მიმართულება – **„ქვეყნის კომერციული სოფლის მეურნეობის სტაბილიზაცია"** და **„სასოფლო რაიონების კეთილდღეობა"**. კანონის ლოგიკით პირველი მიმართულება გულისხმობდა სახელმწიფოს ორიენტირებას მსხვილ მეურნეობებზე – სასაქონლო პროდუქციის ძირითად მწარმოებლებზე, მაშინ როცა მეორე მიმართული იყო საშუალო და მცირე ფერმების სახელმწიფო მხარდაჭერაზე სასოფლო რაიონებში სოციალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ახალი კანონით (1985 წ.) გადაისინჯა სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქცია ქვეყნის სოფლის მეურნეობის სფეროში. ზოგიერთი მათგანი, რომელიც შექმნილი იყო თავის დროზე საოჯახო ფერმების მხარდასაჭერად, გადაორიენტირებულ იქნა მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში მიწის რესურსების კონსოლიდირების მიზანზე.

მეორე, 1985 წლის კანონმა აგრარული მეურნეობის სახელმწიფო სუბსიდირებისა და კრედიტის ასაღებად სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაგირავების ახალი დებულებები და მექანიზმები შემოიღო. დაწვრილებით რომ არ განვიხილოთ დამატებათა არსი, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ამგვარ იურიდიულ საფუძველზე დაყრდნობით გაფართოებულმა საბიუჯეტო სახსრების სუბსიდირებამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში 58 მილიარდი დოლარის დონეს მიაღწია. პრაქტიკულად, ამან აშშ-ის მთავრობას მისცა საშუალება არა მარტო გაეძლიერებინა თავისი ზემოქმედება ბაზრის, სათესი ფართობების,

წარმოების მოცულობის კონიუნქტურულ ცვლილებებზე და ფერმერების შემოსავლებზე, არამედ გამხდარიყო ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარი მყიდველი და გამანაწილებელი. 80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა წარმოებული ხორბლის 48% და რძის ნაწარმის 75%.

მესამე, 1985 წლის კანონში უმთავრესი ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ამასთან, პირველ პლანზე წამოიწია ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის კონკრეტულმა პროგრამამ. მისი განხორციელება განიხილებოდა აშშ-ის მთავრობის მიერ არა მარტო როგორც მიწის ფონდის შენარჩუნების კამპანია, არამედ აგრეთვე როგორც ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა. ძველი მოწოდებები, განმარტებანი და შეგონებები შეიცვალა უმკაცრესი ეკონომიკური და ადმინისტრაციული სანქციებით იმ მეურნეთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებდნენ ანტიეროზიული ღონისძიებების გატარებას.

1985 წლის კანონის კიდევ ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მან ფაქტობრივად პირველად განსაზღვრა აშშ-ის მიდგომა სასურსათო უშიშროების პრობლემის მიმართ დროის განჭვრეტად პერიოდში. ყველა იმ ფერმას, რომელიც ჩართულია მიწის რესურსების დამუშავებაში ნიადაგის ეროზიის მაღალი დონით, კანონმა დაავალა ნიადაგის დამცავი ზომების გატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფერმერი კარგავდა ყველა სახელმწიფო სუბსიდიას. კანონმა აგრეთვე დაავალა ყველა მეურნეობას წარმოედგინა სოფლის მეურნეობის სამინისტროში ნიადაგდამცავ ღონისძიებათა გეგმა 1990-1995 წ.წ. პერიოდისთვის. უკვე 80-იანი წლების ბოლოსთვის ასეთი გეგმები დამტკიცდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ნიადაგდამცავი ღონისძიებები წარმატებულად იქნა განხორციელებული 90-ანი წლების დასაწყისიდან 13 მილიონ ჰექტარზე.

კანონით იყო დადგენილი ყოველწლიური სახელმწიფო ფულადი დახმარება იმ ფერმერთათვის, რომლებიც ნებაყოფლობით გამოიყვანდნენ ბრუნვიდან 10 წლის ვადით იმ ფართობს, რომელიც ხასიათდებოდა ეროზიის მაღალი დონით. ამით საფუძველი ჩაუყარეს მიწის სახელმწიფო ფონდს. სახელმწიფომ აიღო თავის თავზე მიწის ამ ფართობის გამდელოებისა და ტყის გაშენებასთან დაკავშირებული ხარჯების 50%. სახნავი ფართობის ოდენობა, რომელიც კონსერვაციას ექვემდებარებოდა, იყო შემოფარგლული 25%-ით. გამდელოებას დაექვემდებარა რეზერვში გადაყვანილი მიწის 80%, ხოლო ტყის გაშენებას – 20%. პირველად რეზერვში გამოყოფილი მიწის ფართობი განისაზღვრა 10,2 მილიონი ჰექტრით (თუმცა უკვე მაშინ კონგრესი ამზადებდა კანონს, რომლის თანახმად მისი გადიდება 14 მილიონ ჰექტრამდე იყო განსაზღვრული). დადგინდა, რომ მიწის ფონდის შექმნაზე სახელმწიფო დახარჯავდა 1,2 მილიარდ დოლარს, ანუ წყლისა და მიწის რესურსების შენარჩუნებაზე გამოყოფილი მთელი თანხების 50%-ს.

კანონი ითვალისწინებდა სახელმწიფო სუბსიდირების შეწყვეტას იმ ფერმერთათვის, რომლებიც აწარმოებდნენ

ჭაობების ამოშრობას (სახნავად გამოყენების მიზნით), თუკი ექსპერტები დაასკვნიდნენ, რომ ეს უარყოფითად იმოქმედებდა იმ ტერიტორიის ბიოლოგიურ გარემოსა და ჰიდროლოგიაზე.

კანონმა ახლებურად ჩამოაყალიბა ქვეყნის წყლის რესურსების დაცვის მოთხოვნები. მისი პირდაპირი გაგრძელება გახდა 1987 წლის სპეციალური კანონი **"წყლის რესურსების"** ხარისხის შესახებ. ამ კანონის თანახმად 1990 წელს 36 შტატში შემოიღეს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კონტროლს აწესებენ წყალში პესტიციდების შემცველობაზე. ყველაზე მკაცრი შეზღუდვები დაწესდა ინტენსიური მიწათმოქმედების მქონე კალიფორნიის, ფლორიდის, აიოვასა და მინესოტის შტატებისთვის. ზოგიერთმა შტატმა გადასახადები შემოიღო სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებზე, რითაც გაზარდა ხარჯები ფერმერთა განათლების დონის ასამაღლებლად.

აშშ-ში აღიარეს, რომ 1985 წლის კანონის დებულებათა რეალიზებას, განსაკუთრებით კი იმათსას, რომლებიც ეხება საბიუჯეტო სახსრების უფრო დიდ მიზიდვას სოფლის მეურნეობაში, გარემოს დაცვასა და ქვეყნის სასურსათო უშიშროებას, შეიძლება მოჰყვეს ფერმერთა შემოსავლების შემცირება და მათ შორის სოციალური დაძაბულობის ზრდა. მიუხედავად ამისა, პროგრამის განხორციელება მიჩნეული იყო სახელმწიფოსათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ. ამ პრობლემების ოპტიმალური თანაფარდობების პოვნა განიხილება აგრარული მეცნიერების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აქტუალურ ამოცანად.

1990 წლის კანონი **„სოფლის მეურნეობის დაცვის, სურსათით უზრუნველყოფისა და ვაჭრობის შესახებ"** გახდა 1985 წლის კანონის ლოგიკური გაგრძელება და დამატება. არსებითად, ამ კანონმა დაასრულა პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის ძალისხმევა სოფლის მეურნეობის დინამიკური განვითარებისთვის, მიწის, წყლის რესურსებისა და გარემოს იმავდროულად დაცვით. კანონი ფერმერთა და საზოგადოების (სახელმწიფო სუბსიდირების) ძალისხმევის გაერთიანების საშუალებას იძლეოდა სოფლის მეურნეობის საკვანძო ამოცანების გადასაწყვეტად. კერძოდ, შემდგომი განვითარება ჰპოვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მოცულობის რეგულირების პროგრამამ. 90-იანი წლების დასაწყისში მარაგებმა თავის მაქსიმალურ ოდენობას მიაღწიეს და სახელმწიფოს მოუხდა სუბსიდიების მოცულობის გაზრდა ფერმების და მთლიანად სოფლის მეურნეობის საფინანსო მდგრადობის შესანარჩუნებლად. 1990 წლის კანონის თანახმად, ეს ხარჯები განიხილებოდა როგორც გრძელვადიანი ინვესტიციები სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში. სუბსიდირების დონე განისაზღვრებოდა ფასების მიმდინარე დონით. ამასთან, ერთი ფერმისთვის განკუთვნილი თანხა შემოიფარგლებოდა 50 ათასი დოლარით. გაცემული სუბსიდიების დონე საფუძვლიანად მცირდებოდა, თუ ერთი კულტურისთვის განკუთვნილი ფართობის 15%-ზე მეტი სხვა კულტურის წარმოებას მოხმარდებოდა. შემდგომი განვითარება ჰპოვა საქონლის დაგირავებამ სახელმწიფო კრედიტის მისაღებად. ძირითადი რეგულირებადი კულტურების (ხორბალი და სიმინდი) მიხედვით საგირაო გადასახადის დონე 10%-ის ფარგლებში

მერყეობდა (მარაგისა და მოხმარების დონის თანაფარდობის მიხედვით).

ამასთან ერთად, 1990 წლის კანონმა რამდენიმე ცვლილება შეიტანა სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის პროგრამებში მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ასე მაგალითად, მან მკაცრად დაუკავშირა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროგრამის ამოქმედება გარემოს დამცავი ნორმების დაცვას. კანონში განხორციელდა ცხოვრების ჯანსაღი წესის პირობების შექმნის დეკლარირებული კურსის სტანდარტები. ამასთან, მკვეთრად გაიზარდა ასიგნება წყლის რესურსების, კერძოდ – სასმელი წყლის ხარისხის უზრუნველსაყოფად. მკვეთრად განისაზღვრა წყალში მავნე ნარჩენების ზღვრული ნორმები. კიდევ უფრო შეიზღუდა ჭაობების ამოშრობა და გამკაცრდა ცხოველთა სამყაროს დაცვის ნორმები.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმული იძლევა საფუძველს, აშშ-ის სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში გამოიყოს შემდეგი ძირითადი მომენტები:

1. 1985 და 1990 წლებში მიღებული კანონები წარმოადგენდა ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას და თავისი არსით ისახავდა ერთ საერთო მიზანს – **სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილიზებას და ქვეყნის სასურთო უშიშროების უზრუნველყოფას.**

2. აშშ-ის სასურსათო უშიშროების აყვანამ სახელმწიფოს პრიორიტეტული (სტარატეგიული) მიზნის რანგში თავისი ასახვა ჰპოვა იმ საკანონმდებლო ნორმების მიღებასა და სრულყოფაში, რომლებიც ემსახურებიან შემდეგი მიზნების მიღწევას:

– სასოფლო-სამეურნეო რესურსების – მიწის, წყლის, ტყის, ატმოსფეროს (ჰაერის) რაციონალურ გამოყენებას, რის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა იურიდიული ბაზა, რომელმაც აამოქმედა ამ რესურსების დაცვის სავალდებულო ნორმატივები; დააკანონა სათესი ფართობის სახელმწიფო რეგულირებისა და ცალკეულ კულტურებს შორის მათი გადანაწილების მექანიზმი, ძირითადი საკვები პროდუქტების ოპტიმალური ფასებისა და მათი წარმოების რეგულირების შესაძლებლობა;

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების სტაბილიზება და მათი დაცვა საბაზრო სტიქიისგან; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის ფართომასშტაბიანი სუბსიდირება;

– მიწათსარგებლობის ყველაზე ეფექტური მეთოდების მხარდაჭერა: საკანონმდებლო ნორმების, მექანიზმებისა და საფინანსო გადაწყვეტილებათა სპეციფიკა განისაზღვრა იქიდან, რომ უკვე ახლო მომავალში 100 ათასი მსხვილი მეწარმე მისცემს ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო წარმოების 80%-ს მაშინ, როდესაც ტრადიციული საოჯახო ფერმა ქვეყნის მიწათსარგებლობის ისტორიის საკუთრება გახდება;

– სახელმწიფოს გადაქცევა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად (კონტრაქტორად), არამედ მთავარ მყიდველად და განმანაწილებლად (დისტრიბუტორად): შექმნილი იურიდიული მექანიზმი აძლევს მთავრობას საკმარის უფლებამოსილებას, რომ შეისყიდოს და გაანაწილოს სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი (იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზება).

აღნიშნული მიზნების დასახვა და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება მკვეთრი შემობრუნების ეტაპი გახდა აშშ-ის სოფლის მეურნეობის ისტორიაში. ამჟამად ეს კურსი კვალიფიცირდება, როგორც **"საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის სახელმწიფო გარანტია".**

დასკვნის მაგიერ. ზოგადად, თანამედროვე მსოფლიოში სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უშიშროებისადმი (უსაფრთხოება) დიდი ყურადღება რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

1. სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა. მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომ სასურსათო უშიშროება ყველა სახელმწიფოს სტრატეგიაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს;

2. მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული სიმდიდრისა და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. ფსიქოლოგიურად და კულტურულად სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

გლეხკაცი ვერ განიხილება, როგორც საშუალება რაღაც მიზნისთვის – იგი უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. მას მოფრთხილება, თანადგომა და შესაფერისი დაფასება სჭირდება. გლეხკაცის მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს მარცვლეული, მწვანილი, ხილი თუ ყურძენი. მისი პირველი მოწოდებაა ის, რომ იყოს ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საზოგადოების გამომკვებავი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი (ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე) და საქართველოს მიწის ყოველი ცალკეული გოჯის შემნახავი ასიათასობით პოტენციური „სტუმრის" პირისპირ.

საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. ჩემი აზრით, პრიორიტეტები ამ სფეროში შეიძლება იყოს ორი მიმართულების: პირველი – სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, შენარჩუნება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვაც); მეორე – სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა დიდადაა დამოკიდებული მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. მიწის ეფექტურ მართვას, რომელიც

ქვაკუთხედს წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, გააჩნია გამოწვევები, რომლებიც პირობითად შესაძლებელია ორ ნაწილად დაიყოს:

1. მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების არარსებობა შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებასა და მის მართვას;

2. მიწის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის არარსებობა.

მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის საჭიროა შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად უნდა მართავდეს მიწის საინფორმაციო სისტემას, რაც შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის დანიშნულების, კატეგორიის, ხარისხის, საირიგაციო/სადრენაჟო ინფრასტრუქტურის და სხვა მონაცემების შესახებ.

მიწის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავება ასევე მოითხოვს შესაბამის ინსტიტუციურ მოწყობას. მისი არარსებობა თავის მხრივ სერიოზულ გავლენას ახდენს რეგიონულ განვითარებაზე, ადგილობრივი თემების ჩართულობაზე, ასევე სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებაზე, სოციალური, დასაქმების, მიწის ბაზრის აქტიურობის, ინვესტიციების მოზიდვის და ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე.

მიწის განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწის კონსოლიდაცია, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია როგორც ევროკავშირის ძველი და ახალი წევრებისთვის, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის.

სამწუხაროდ, საქართველოში მიწის კონსოლიდაციის არავითარი გამოცდილება არ არსებობს, რაც ამ მიმართულებით მოქმედების არანაირ შესაძლებლობას არ იძლევა. გამოცდილების შესაგროვებლად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდეს მიწის კონსოლიდაციის პილოტპროექტი, რომლის გამოცდილების ბაზაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამა.[1]

ცალკე დიდი პრობლემაა ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მხრივ კატასტროფის წინაშე ვდგავართ. საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ნიადაგების დაცვის ფინანსურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი გრძელვადიანი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა (მ.შ. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური გეგმა) და დაიწყოს მისი განხორციელება.[2]

მსოფლიოში არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის (მ.შ. სასურსათო) ხასიათი, საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ამოცანები რეალურად მოითხოვს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. **სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას დაეთმობა),** ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭიროა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად ადმინისტრაციული, ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. საქართველომ უნდა შექმნას მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახური – ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.

იმისათვის, რომ ქართულმა სოფელმა შექმნას პროდუქციის სიუხვე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური

---

1. გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად მიწის კონსოლიდაცია განიხილება, როგორც მრავალსექტორული მიდგომა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის მართვის გაუმჯობესებისათვის, სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. მიწის კონსოლიდაციის პილოტპროექტების დიზაინის სახელმძღვანელო შემუშავდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ 2003 წ. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.

2. საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებით მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწები 38%-ს შეადგენდა, საშუალო ხარისხის – 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის – 41%-ს.

ეროზიის ზემოქმედებას განიცდის მილიონ ჰექტარზე მეტი სავარგული (მ.შ. 350 ათასი ჰა სახნავ-სათესი ფართობი). უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში 100 ათასამდე ჰექტარი სახნავი ფართობი გადაირიცხა ნაკლებ ინტენსიურ სავარგულში.

პირობითად ნახევრად გაუდაბნოებულ ტერიტორიებში დამლაშებულ და ბიცობ ნიადაგებს აღმოსავლეთ საქართველოში 210 ათას ჰექტარზე მეტი უკავია.

1990 წლისათვის კოლხეთის დაბლობზე დაშრობილი იყო 140 ათასი ჰექტარი. აქედან ათვისებული იყო 103,9 ათასი ჰა; 1992 წლიდან ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო ძირითადი სამელიორაციო ქსელი სათანადო მეთვალყურეობის გარეშე დარჩა. შედეგად რიგ რაიონებში დაიწყო მეორადი დაჭაობების პროცესი, რის გამოც დღეისთვის კოლხეთის ზონაში 42 ათასი ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი კვლავ ჭაობად იქცა.

მუავე ნიადაგებს დასავლეთ საქართველოში 330 ათასი ჰა უკავია. ძლიერ მუავე ნიადაგების ფართობმა 37 ათას ჰა-ს მიაღწია, სადაც ეკონომიკურად ღირებული მოსავლის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია.

საბადოთა ღია წესით დამუშავების შედეგად სხვადასხვა სახის დარღვეული მიწების, კარიერების, ნაყარების, გამამდიდრებელი ფაბრიკების ნარჩენების, სალექავების და სხვა ფართობი 10 ათას ჰექტარს აღემატება.

პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შექმნის საქმეში. იგი, პირველ ყოვლისა, სპეციალიზებული კოოპერაციული ტიპის აგროსაკრედიტო (ურთიერთდახმარების, თავდებობისა და გარანტიების) სისტემის შექმნით გამოიხატება, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს მოსავლის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას. ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს მელიორაციის, ზოოვეტმომსახურების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, აგროქიმიური საშუალებების, საწვავის (მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების) და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება. უნდა წახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კოოპერირების გამოყენება და მარკეტინგული დახმარება. ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაიონებში აგროტექნიკუმების

ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების (განსასაზღვრია ფერმერის სტატუსი და შესაქმნელია ფერმერთა რეგისტრაციის სისტემა) პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვას და მათი გამუდმებით გადამზადების გარემოს შექმნას.

ამავე კონტექსტშია გადასაწყვეტი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სასურსათო უშიშროების ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა (ასეთი სამსახურის ჩამოყალიბება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) მიერ არის რეკომენდებული. ამ სტრუქტურაში მთავარი ადგილი სასურსათო უშიშროების ძირითადი ინდიკატორების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებასა და ადრეული გაფრთხილების პრაქტიკის დანერგვას ეკუთვნის).

ქვეყნის აგროსექტორში მდგომარეობის გამოსწორებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი (კოოპერაციული) გაერთიანებების ჩამოყალიბება, აგრარული შრომის სტიმულირება (ავტორიტეტის ამაღლება), სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ურთიერთინტეგრაცია (პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა), დაწვრილერთეულებული საწარმოო ბაზის (მიწის) კონსოლიდაცია, ბაზრებთან კავშირის აღდგენა. ასევე მნიშვნელოვანია თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის განხორციელება, რომელიც გახდება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ტრადიციული დარგებისა და მწვანე ტურიზმის ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და, შესაბამისად, მიწათმოქმედთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი, რაც თავის მხრივ მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობა უნდა დაადგეს აგრარული პოლიტიკის ახალ სტრატეგიას სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო – სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების – პოლიტიკა (აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა) იგულისხმება.

სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად (სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება) საქართველოს მთავრობამ, მსგავსად დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებისა, რამდენიმე დებულებით უნდა იხელმძღვანელოს:

1. სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმმართველობა, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა), განვითარება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა ეროვნული იდენტურობისა და მოსახლეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს;

2. გარემოს დაცვა, შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;

3. ინფორმაციის (მ.შ. ტელეკომუნიკაციის) გავრცელებისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობა სოფლის ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;

4. სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად (შემდეგ ეტაპზე ინდუსტრიულ ქვეყნად, ზეგანვითარებული სოფლის მეურნეობით), **რომელიც თვითონ დაიკმაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად – მეცნიერებატევადი სამრეწველო, მეცნიერული და მაღალი ხარისხის ნატურალური სოფლის მეურნეობის პროდუქცია,** არის ის სასურველი მიმართულება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საქართველოს სასურსათო და ზოგადად ეკონომიკური უშიშროებაც ანუ შეუნარჩუნოს მას გარანტირებული ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა გარე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად.

ეს ამოცანა თავისით, რა თქმა უნდა, არ გადაწყდება. **საჭიროა აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიისა და მის საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავება (სისტემა, სტრუქტურა, სტრატეგია, ტაქტიკა, კადრების ნება, კადრების სწავლება),** რომელიც ორიენტირებული იქნება ზემოაღნიშნული მთავარი ამოცანის გადაჭრაზე. ცხადია, რომ ამ არსებით სიახლეებს სჭირდება ნათელი შესაბამისი კანონების მიღება.

აშშ-ის გამოცდილება იმიტომ არ მომიტანია, რომ ჩვენც ზუსტად ასე უნდა მოვიქცეთ. აქ მთავარია ტენდენციის გაზიარება და იმის გაკეთება, რისი შესაძლებლობაც სახელმწიფოს აქვს. სწრაფად განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს არა რომელიმე ერთი ეკონომიკური მიმართულების, არამედ ლიბერალური და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკების რაციონალური შეთანაწყობის უპირატესობას.

თქმულიდან გამომდინარეობს:

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ სასურსათო უშიშროება ქვეყნის უპირველეს სტრატეგიულ მიზანთა რიგში შედის;

– ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ერთადერთი სუბიექტი, ვისაც ამ ამოცანის გადაჭრა ძალუძს, არის თვით სახელმწიფო:

– ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, ფუნქციონირების ურთულესი ტექნოლოგია როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფის, ისე სოფლის მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ტექნიკური დონის სრულყოფის საქმეში.

პაატა კოლუაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

საქართველოს სოფლის მეურნეობა – რეალობა და მითები

იოანე ეჩანოვე:
ევროკავშირის ატაშე სოფლის მეურნეობის სფეროში

პირველი მითი: წარმატებულ ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის სამუშაოებისათვის ადგილი არ არის.

ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნიდან 13-ში (ყველა მათგანი წარმოადგენს განვითარებულ ქვეყანას) სამუშაო ძალა სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ 4%-ს აღემატება (ისეთი ქვეყნების ჩათვლით, როგორიცაა ავსტრია!); ხოლო 5 მათგანში ის 10%-საც კი აჭარბებს (პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი და პორტუგალია). ნამდვილად ვეჭვობ, რომ საქართველოში სამუშაო ძალის 4% სოფლის მეურნეობაზე მოდიოდეს, თუმცა ასე რომც იყოს, ვფიქრობ, ცხადია, რომ პროცესს მრავალი წელი დასჭირდება. ასე რომ, ვიდრე არარეალურ ჰიპოთეზაზე ვიფიქრებდეთ, თითქოს ერთ დღეს საქართველო გახდება, მაგალითად, ჰოლანდიის ან დანიის მსგავსი, ალბათ უკეთესი იქნება, ვნახოთ, თუ რა მოხდა ამ ქვეყნების მოსახლეობის შესაბამის ჯგუფებში ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

პოლონეთი, თავისი ძალიან აქტიური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ეკონომიკით არ წარმოადგენს იმ შემთხვევის ცუდ მაგალითს, რომელშიც საქართველო ისურვებდა ყოფნას არცთუ ისე შორეულ მომავალში. პოლონეთის კეთილდღეობის მსგავსი დონის მიღწევა, სხვათა შორის, უფრო ნათელი მომავლის საწინდარია, ვთქვათ, ბულგარეთთან შედარებით: პოლონეთის ერთ სულ მოსახლეზე მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი) 50%-ზე მაღალია, ვიდრე ბულგარეთში. პოლონელების 19% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში მაშინ, როცა ბულგარეთში მხოლოდ – 6%. შეფარდება ერის სიმდიდრესა და ხალხის პროცენტულობას შორის სოფლის მეურნეობაში ზოგჯერ პარადოქსულია.

მეორე მითი: თანამედროვე სოფლის მეურნეობა ნაკლებ სამუშაო ადგილს საჭიროებს, ასე რომ თუ თქვენ მოახდენთ ამ სექტორის მოდერნიზაციას, უმუშევრობა უფრო გაიზრდება.

სოფლის მეურნეობის სექტორის რეფორმამ და მოდერნიზაციამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპის ქვეყნებში, სხვათა შორის, შეამცირა სამუშაო ადგილთა რაოდენობა პირველად წარმოებაში, თუმცა პარალელურად გაზარდა დასაქმება კვების სექტორში, რაც ამ ეტაპისათვის წარმოადგენს სოფლის მეურნეობის წამყვან სექტორს ევროპაში სამუშაო ადგილების თვალსაზრისით (15%). ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანაში კვების მრეწველობა წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის 3 წამყვან საქმიანობათა შორის ბრუნვის თვალსაზრისით და იკავებს პირველ ადგილს საფრანგეთში, ესპანეთში, გაერთიანებულ სამეფოში, დანიასა და პორტუგალიაში.

ჩვენ უნდა დავამატოთ სამუშაო ადგილები სოფლის მეურნეობის კვების მრეწველობაში (მაგ. სოფლის მეურნეობის ტექნიკის მწარმოებლები, სასუქის მრეწველობა და ა.შ.) და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურების სექტორების საქმიანობაში (მაგ. ვეტერინარები, ფერმის ბუღალტრები, აგრობაზრის სექტორი და ა.შ.!). ყველა ეს სამუშაო ადგილი დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის სექტორზე. დადგენილია, რომ ევროპაში ყველა ფერმერისათვის საშუალოდ კიდევ ორი სამუშაო ადგილია.

რომ შევაჯამოთ: თანამედროვე აგროსექტორი – საკვები პროდუქტების პირველადი წარმოება, მოითხოვს ნაკლე-

ბი ადამიანის ფერმერობას, თუმცა საჭიროებს უფრო მეტ ხალხს, რომლებიც ახორციელებენ სხვა საქმიანობას ღირებულებათა დადგენის ჯაჭვთან ერთად. ეს სწორედ ის საკითხია, რომელშიც წინა მთავრობა თანამედროვე სოფლის მეურნეობის ცოდნის ნაკლებობას განიცდიდა და სრულყოფილად ვერასოდეს ერკვეოდა. ეს დამატებითი სამუშაო ადგილები სრულად ვერ აანაზღაურებს სამუშაო ადგილების დანაკარგს პირველად წარმოებაში, მაგრამ შრომის ბაზარზე სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის გავლენის გონივრულმა ანალიზმა შესაძლოა, ეს დანაკლისი ასევე სხვა წარმოებაში გაითვალისწინოს.

სხვა სექტორებში ამ უშუალო სამუშაო ადგილების შექმნის გარდა სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია ნიშნავს უფრო მეტ და უკეთეს წარმოებას და მაშასადამე, უკეთეს შემოსავალს (უფრო ნაკლები) ფერმერისათვის, რაც მათ უკეთესი ვაჭრობის საშუალებას მისცემს, რაც ასევე წარმოადგენს სამუშაო ადგილების არაპირდაპირ შექმნას.

როდესაც ქვეყანა ახდენს საკუთარი კვების სექტორის მოდერნიზაციას, რასაკვირველია, სამუშაო ადგილები პირველად წარმოებაში იკარგება, მაგრამ ასევე ხდება ახალი სამუშაო ადგილების აღმოცენება. თუ ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია არაკონკურენტულ სოფლის მეურნეობაში, უკეთეს შემთხვევაში საზოგადოების ეს ნაწილი იმყოფება დაბალ საარსებო დონეზე, ხოლო უარეს შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სამუშაო ადგილების გაუქმება მაინც მოხდება და უფრო სწრაფადაც (ფერმერთა კონკურენტუუნარობის გამო) და იმ ახალი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სამუშაო ადგილების გარეშე, რომლებიც სექტორის მოდერნიზაციას მოაქვს.

მესამე მითი: სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია აუცილებლად გამოიწვევს ქალაქებში სოფლის მოსახლეობის მასიურ მიგრაციას

საქართველოში კარგად გავრცელებული კიდევ ერთი მცდარი კონცეფცია არის ის, რომ სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია აუცილებლად გამოიწვევს ქალაქებში მასიურ მიგრაციას. ხალხი ჩვეულებრივად გადაადგილდება უკეთესი სამუშაოების და ცხოვრების პირობების საძიებლად. თუ სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილები აღარ იქნება და არც ალტერნატიული სამუშაო ადგილების შეთავაზება მოხდება (და არ განვითარდება სოციალური და გასართობი ინფრასტრუქტურა) სოფლებსა და პატარა ქალაქებში, დაიწყება ხალხის მიგრაცია იქ, სადაც არსებობს უკეთესი სამუშაო ადგილების მოპოვების შესაძლებლობა (მაგ. სხვა ქალაქებში ან საზღვარგარეთ). ასე რომ, მთელი საკითხი ამ შემთხვევაში ეხება იმას, თუ როგორი პოლიტიკა (თუ საერთოდ) გატარდება სოფლის ტერიტორიაზე კერძო და სახალხო ინვესტიციების ჩასაშვებად.

უმეტეს ევროპულ ქვეყანაში სოფელში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტულობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, მაშინაც კი, თუ მუდმივად მცირდებოდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა. ესპანეთში, მაგალითად, 1980 წლისათვის დასაქმებული მოსახლეობის 18% სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდიოდა. 30 წლის შემდეგ, 2010 წელს სოფლის მეურნეობაში მხოლოდ 4% იყო დასაქმებული. ზოგს ალბათ ჰგონია, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმების ასეთი მასიური შემცირება გამოწვეულია მასიური მიგრაციით სოფლებიდან ქალაქებში, თუმცა ეს სინამდვილეს არ შეესაბამება: 1980 წელს ესპანელების 75% ქალაქებში ცხოვრობდა მაშინ, როცა 2010 წელს მათი რაოდენობა 77% შეადგენდა, ე.ი. მხოლოდ მინიმალურად იზრდებოდა.

ესპანეთის სოფლებში ისევე ბევრი ადამიანი ცხოვრობს, როგორც 30 წლის წინ... იმის მიუხედავად, რომ ქვეყანას ჰყავს ფერმერთა რაოდენობის მეოთხედზე ნაკლები, ვიდრე უნდა ჰყავდეს. ევროპაში სოფლების უმრავლესობა ძირითადად დამოკიდებული არ არის სოფლის მეურნეობაზე, რადგან სოფლების ეკონომიკური სტრუქტურა ამჟამად ძალიან მრავალფეროვანია და მოქალაქეებს კეთილდღეობის იგივე შესაძლებლობები გააჩნიათ (ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, კარგ განათლებასა და ა.შ.) – იმის მიუხედავად იცხოვრებენ ისინი მადრიდსა თუ რომელიმე პატარა სოფელში, სადღაც ანდალუზიის მახლობლად.

სოფლის მეურნეობაში უფრო ნაკლები სამუშაო ადგილები ყოველთვის როდი ნიშნავს სოფლის ცხოვრების დაკნინებას... ეს უფრო პოლიტიკურ ფორმირებაზეა დამოკიდებული.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სოფლის მეურნეობას

გასული წლის 19-26 ნოემბერს საქართველოდან ფერმერთა 20-კაციანი ჯგუფი პოლონეთში სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების ცენტრში ვიმყოფებოდით. ცენტრის ძირითადი ამოცანა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფერმერთა აგროკონსულტირების ხელშეწყობა და ევროკავშირის დახმარებით მიღწეული წარმატებების გაცნობაა. ცენტრს აქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურა და სასწავლო პროგრამა, რომელიც თეორიულ სწავლებასთან ერთად წარმატებულ ფერმერულ მეურნეობებში გასვლით სემინარებსაც ითვალისწინებს.

ამ პროგრამაში საქართველო 2008 წლიდან მონაწილეობს და აღნიშნული სწავლების კურსი უკვე ქართველ ფერმერთა რამდენიმე ჯგუფმა გაიარა და შესაბამისი სერთიფიკატებიც მიიღო. ასევე ამ ცენტრის პროფესორები და სპეციალისტები მოიწვიეს საქართველოში, სადაც ისინი ჩვენი სოფლის მეურნეობის პრობლემებს გაეცნენ.

უპირველესი, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, არის ის, რომ ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით ეფექტიანად გამოიყენოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოსტსაბჭოთა სისტემიდან ევროკავშირის სტანდარტებამდე მისვლის გამოცდილება. ამისი ერთ-ერთი კარგი მაგალითი

უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე პოლონეთის განვლილი გზაა. 90-ათიან წლებში, კომუნისტური სისტემის რღვევის შემდეგ პოლონეთის სოფლის მეურნეობა გაბანკროტდა და კოლაფსის წინაშე დადგა. ვიდრე იგი ევროკავშირის წევრი გახდებოდა (2004წ.), მძიმე პერიოდი გაიარა. 2004 – 2014 წლებში პოლონეთის სოფლის მეურნეობამ გრანტად ევროკავშირიდან 103 მილიარდი ევრო მიიღო, რაც უმთავრესად რეფორმებს, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და ევროკავშირის სტანდარტების დანერგვას მოხმარდა. მნიშვნელოვანი თანხები მოხმარდა სოფლის ინფრასტრუქტურის და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. შედეგი თვალსაჩინოა. პოლონეთის სოფლის მეურნეობა დღეს თითქმის ევროკავშირის მოწინავე ქვეყნების განვითარების დონეზეა, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან ძირითადი ს/ს დარგების მაჩვენებლებს: ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა – 10 ტ/ჰა; კარტოფილი – 50 ტ/ჰა; შაქრის ჭარხალი – 55 ტ/ჰა; სხვა ბოლქვოვნები (სტაფილო, ნიახურის ბოლქვები) – 80-100 ტ/ჰა; ძროხის წველადობა – 40 ლ/დღეში (საშუალო), 50 ლ/დღეში (რეკორდული) და სხვა. რაოდენობასთან ერთად, ცხადია, დაცულია ხარისხობრივი სტანდარტი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე პოლონეთისათვის პრობლემაა ე.წ. „ჭარბი პროდუქტი“. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რუსეთის ემბარგოს პირობებში ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა: ვაშლი, კარტოფილი და რძის პროდუქტები. ამ შემთხვევაშიც ევროკავშირი ზრუნავს, როგორც ახალი ბაზრის მოძიებაზე, ასევე ახორციელებს ზარალის კომპენსაციას.

საქართველოს და პოლონეთის სოფლის მეურნეობების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ორი მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება:

1. მიწის პრივატიზაციის არაეფექტური მოწყობა საქართველოში და

2. არსებული ინფრასტრუქტურის და მეურნეობების განადგურება და მოშლა.

სამწუხაროდ, ბოლო 25-30 წლის მანძილზე საქართველოში ვერ მოხერხდა რეალური სიტუაციის შეფასება და შესაბამისად ვერ შემუშავდა რაციონალური პროგრამა კრიზისიდან თავის დასაღწევად. დაწყებული მიწის ე.წ. პრივატიზებიდან დღემდე ხელისუფლებაში მყოფნი მხლოდ არჩევნების მოსაგებად გეგმავენ სოფლის აღორძინების პროგრამებს. პროგრამები აგებულია პიარზე, ამომრჩევლის ხმების მოპოვებაზე და შედეგიც სახეზეა. ამასობაში დავკარგეთ არამარტო უცხოეთის ტრადიციული ბაზრები, არამედ საკუთარი ბაზარიც. დღეს 70-80% სასურსათო პროდუქციისა ადგილობრივ ბაზარზე იმპორტულია. ეს ის პროდუქციაა, რომელიც ექსპორტზე გაჰქონდა საქართველოს და აკმაყოფილებდა შიდა ბაზარსაც. მაშ, სად არის დამარხული ძაღლის თავი, უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე რატომ ვერ დააღწია ქართულმა სოფელმა თავი სიდუხჭირეს?

ჩემი, და არამარტო ჩემი ანალიზით ამის ძირითადი მიზეზებია:

1. მცირემიწიანი, დაქუცმაცებული მეურნეობა, სადაც ვერ ხორციელდება ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვა და შესაბამისად მეურნეობა არამომგებიანია;

2. არაკონკურენტუნარიანი წარმოებული პროდუქტი, რომელიც შიდა ბაზარზეც ვერ უწევს კონკურენციას იმპორტულ პროდუქციას (ფასი და ხარისხი);

3. ინვესტიციების სიმცირე სოფლის მეურნეობაში. აქ იგულისხმება იაფი და ხანგრძლივი კრედიტის ხელმიუწვდომლობა.

4. და ბოლოს, სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული პოლიტიკის ცვალებადობა სოფლის მიმართ (პროტექციული პოლიტიკა, ბაზრების მოძიება, აგრარული ფონდების არარსებობა და სხვა).

მეტ-ნაკლებად წარმატებული დარგი საქართველოში აღმოჩნდა მევენახეობა-მეღვინეობა. აქ დიდი როლი ითამაშა სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის პროგრამებმა, როგორც ბაზრების მოძიების, ასევე სუფსიდირების კუთხით. ამ დარგში მოხდა როგორც კერძო ინვესტიციების ჩადება, ასევე სახელმწიფოს მხრიდან სუფსიდირება. შედეგად გამსხვილდა მეურნეობები, დაინერგა ახალი ტექნოლოგიები, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა. სამწუხაროდ, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით საქართველოს მასშტაბები შეზღუდულია და მისი ადგილი საერთაშორისო ბაზარზე არ შეიძლება რაოდენობის გაფართოებაზე იყოს ორიენტირებული. მას მხოლოდ უნიკალურობითა და ადგილწარმოშობის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს პერსპექტივა. საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით საქართველოს სოფლის მეურნეობის უპირველესი ამოცანაა იზრუნოს საკუთარი ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხილ-ბოსტნეულის, როგორც ნედლეულის, ასევე გადამუშავებულ პროდუქტებზე. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება საექსპორტოდ იმ უნიკალური პროდუქტის გატანა, რომელიც მოთხოვნადი შეიძლება იყოს საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა საჭიროა მიწების გამსხვილების პროცესის ხელშეწყობა, იაფი და ხანგრძლივი კრედიტების გაცემა და სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ევროკავშირის პროგრამებში ჩართვისათვის სამზადისი უნდა დაიწყოს შიდა რეფორმების რაც შეიძლება სწრაფად გატარებით. პოლონეთში ვიზიტმა ამისი მაგალითი მოგვცა. ევროკავშირის მოთხოვნა პოლონეთის და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისადმი იყო რამდენიმე. პოლონელი ფერმერებისადმი პირველი მოთხოვნაა, რომ მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის ფინანსური დახმარების პროგრამაში ორი კრიტერიუმით-მინიმალური მიწის რესურსი 35 ჰა და ფერმერის ასაკი მაქსიმუმ 40 წელი. ასევე საინტერესოა ხელმისაწვდომი შიდა კრედიტი 15 წლის ხანგრძლივობით და მაქსიმუმ 3%. ევროკავშირის დახმარებით ასევე განხორციელდა ე.წ „სოფლის განვითარების“ პროგრამა კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში. შედეგად 10 წელიწადში მიღწეულია მაღალგანვითარებული, კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე.

ცხადია, ეს ნორმატივები პირდაპირ ვერ გადმოვა საქართველოში, მაგრამ პრინციპების დაცვა აუცილებელია.

ვისურვებდი, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსთვისაც ყოფილიყოს აღმავლობის დასაწყისი. პოლონეთის მიღწევები სახეზეა, ამ მაგალითის გამოყენება შესაძლებელია საქართველოშიც.

ძრისტო კახნიაშვილი,
შპს „აგროვიტას“ ინოვაციური პროექტების მენეჯერი, პროფესორი

ვინ დაარეგულირებს მათ ურთიერთობას

ქვეყანა, საიდანაც ჩვენ გამოვედით, გეგმიური ეკონომიკის ქვეყანა იყო და საქონელზე ფასები წესდებოდა როგორც საქონლის თვითღირებულების მიხედვით, ასევე მინიმალური შემოსავლის მძონე პირთა ინტერესების გათვალისწინებით. ამიტომ ღირდა კილოგრამი პური 20 კაპიკი, რაც მისი გამოცხობის ფასი უფრო იყო, ვიდრე მისი თვითღირებულება.

ასეთ ეკონომიკურ ფორმაციაში ნაცხოვრებ ხალხს, არ შეიძლება ხელისუფლებამ განუცხადოს: ხვალიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადავდივართ და თვითონ იფიქრეთ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაზეო. მით უმეტეს, რომ მსოფლიოში ასეთი გადასვლა პირველად მოხდა და ამის გამოცდილება არ არსებობს, ამიტომ რაღაც გარდამავალი პერიოდი აუცილებლად უნდა დაწესებულიყო, რომლის დროსაც ხელისუფლებაც და ხალხიც გავერკვეოდით შექმნილ ვითარებაში, ვისწავლიდით საბაზრო ეკონომიკის ანბანს და გავხდებოდით ცივილიზებული კერძო მესაკუთრენი ანუ არ იყო აუცილებელი გაგვევლო ველური კაპიტალიზმი იმიტომ, რომ დღეს XXI საუკუნეა. რადგან თვითსწავლა ანუ დაზვერვა ბრძოლით გრძელი პროცესია, ვხედავ პერსპექტივას იმისას, რომ ჩვენ კიდევ დიდხანს დავრჩებით ამ ველურ კაპიტალიზმში.

ბაზარზე მონოპოლისტების მიმართ მსოფლიოს სხვა გამოცდილება აქვს, ჩვენთან კი მარეგულირებელი კომისიები არეგულირებენ ფასებს. ეს მართლაც არის ერთგვარი გამოსავალი, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებული არ უნდა იყოს მარეგულირებლის კეთილსინდისიერებაზე, უნდა არსებობდეს მარეგულირებლის საზოგადოების მიერ დარეგულირების მექანიზმიც, რადგან ხელისუფლების მიერ დარეგულირებული მარეგულირებელი ძალიან ძვირი უჯდება გაზის და დენის საფასურის გადამხდელს. ხელისუფლებას მხედველობიდან რჩება ის ფაქტი, რომ საქართველო პატარა ქვეყანაცაა და სპეციფიკურიც, აქ ყველანაირი ვაჭრობა და მომსახურება მონოპოლისტურია, აქ კარტელური გარიგებაც არ გინდა, დილით ფასს შეცვლიან ბათუმში, 2-3 საათის შემდეგ იგივე ფასი ადევს საქონელს დედოფლისწყაროში. ავიღოთ წამლებით ვაჭრობა. წამლებით საქართველოში ათი ფირმა მაინც ვაჭრობს. ისინი ასიათასობით დასახელების წამლით ვაჭრობენ. როგორ შეიძლება ყველა ამ ფირმას ყველა დასახელების წამალზე ერთი და იგივე მაღალი ფასი ედოს? გამოდის, რომ მათაც აქვთ დარგს შიგნით მარეგულირებელი კომისია? ამ და ბევრ სხვა საქმეში მთავრობამ უნდა ჩართოს სპეციალისტ მეცნიერთა კომისიები და აუცილებელია მოინახოს გამოსავალი, რადგან ფასები მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელია, მასთან ხუმრობა კი არ შეიძლება.

საბაზრო ეკონომიკის უპირველესი დანიშნულებაა ქვეყანაში მოაწესრიგოს წარმოებითი ურთიერთობები და დაარეგულიროს საქონელზე და მომსახურებაზე ფასები. ჩემი აზრით, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ხარვეზი სწორედ ისაა, რომ ფასწარმოქმნისას საქონლის თვითღირებულება ძირითადად უგულებელყოფილია, წინ კი წამონეულია ბაზარზე საქონლის მოთხოვნა – მიწოდებას შორის ბალანსი, ამიტომ ბაზრის მიერ დარეგულირებული ფასი ასტრონომიულიც შეიძლება იყოს და თვითღირებულებაზე დაბალიც.

მევენახის და მეღვინის ურთიერთობის დარეგულირება მრავალი მიზეზის გამო არ შეიძლება ბაზარს მივანდოთ, მანამდე მაინც, სანამდე ბაზარზე მუშაობის კულტურას არ ვისწავლით. მათი ურთიერთობა სპეციფიკურია, ამიტომ მიდგომაც სათანადო უნდა იყოს. ბევრი ფაქტორი აიძულებს მათ ერთმანეთის მიმართ პარტნიორული დამოკიდებულება ჰქონდეთ, მაგრამ მეღვინე მევენახეს პარტნიორად არასოდეს თვლიდა და ყურძნის შესასყიდად ფასს დღემდე თვითონ უწესებს. მეღვინეს თავისი ბიზნესის გამართული მუშაობისათვის ყურძენი ესაჭიროება, რომლის ერთადერთი მიმწოდებელი მევენახეა. რადგან საღვინე ყურძნის ექსპორტ-იმპორტი თითქმის შეუძლებელია, (საღვინე ყურძენი მალფუჭებადია) ასევე მევენახისათვის ერთადერთი ხელის დამცლელი მეღვინეა. თითქოს

ეს გარემოება უნდა აიძულებდეს მათ ერთმანეთის მიმართ ლოიალურნი იყვნენ და ერთმანეთს პრობლემებს არ უნდა უქმნიდნენ. სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ ყოფილა პარტნიორობისათვის, საჭირო ყოფილა პარტნიორზე ზემოქმედების ბერკეტი, რომელიც მეღვინეს აქვს, მევენახეს კი – არა. კერძოდ, მეღვინეს ცდა შეუძლია მანამდე, სანამდე მევენახე მის მიერ შეძლეულ ფასს არ დათანხმდები. მან მშვენივრად იცის, რომ მის მეტი მყიდველი მევენახეს არ ჰყავს. მევენახეს კი ცდა არ შეუძლია, შემოსული ყურძენი გამოშრობას და ლპობას იწყებს, მას სეტყვის შიშიც აქვს, მყიდველიც მას მეტი არავინ ჰყავს, ამიტომ იძულებულია იმას დასჯერდეს, რასაც მეღვინე სთავაზობს. როგორც ხედავთ, მეღვინე ამ ბაზარზე მონოპოლისტია, ასეთ ვითარებაში კი ბაზარი უძლურია აქ რაიმე დაარეგულიროს. გამოდის, რომ მეღვინე-მევენახის ურთიერთობის დარეგულირება ბაზრის კანონებში არ ჯდება.

საქონლის ფასის ძირითადი მდგენელი მის შექმნაზე დახარჯული შრომა და მატერიალური რესურსია. დათვლილია, რომ მევენახე სეზონის განმავლობაში ყოველ ვაზთან ოცჯერ მაინც უნდა მივიდეს და ყოველ ჯერზე გარკვეული ოპერაცია ჩაატაროს. ისიც დათვლილია, რომ ჰექტარი ვენახის მოსავლამდე მიყვანას 5-6 ათასი ლარი ესაჭიროება, ე.ი კილოგრამი ყურძნის თვითღირებულება ერთ ლარამდე აღწევს. ასეთ ყურძენში მევენახეს 2 ლარიც რომ გადაუხადონ, მისი მოგება 100%-ს ვერ გაცდება. ახლა ვნახოთ მეღვინის რისკები და მოგება.

მეღვინე 1,5კგ. ყურძენში 3 ლარამდე იხდის, საიდანაც 2 წლის მოვლა-დავარგების შემდეგ მინიმუმ 1 ბოთლ უმაღლესი ხარისხის და ფერის ღვინოს იღებს, რომლის ღირებულება საშუალოდ 20 ლარია. ამ თანხიდან ხარჯებში ნახევარიც რომ წავიდეს მეღვინის მოგება 300%-ს მაინც გადააჭარბებს. ეს იმ დროს, როცა მეღვინის რისკი მიზერულია, მევენახე კი მთელი წლის განმავლობაში სეტყვას ელოდება და ხშირად ხელცარიელი რჩება. შექმნილ ვითარებაში მევენახეს აქვს გამოსავალი, კერძოდ, გაზარდოს საჰექტარო მოსავალი, რასაც აკეთებს კიდეც. ცნობილია, რომ მაღალი საჰექტარო მოსავალი ცუდად მოქმედებს ღვინის ხარისხზე. ევროპაში და მთელ მსოფლიოში სამარკო ღვინოს ამზადებენ მხოლოდ 3-5 ტონა ჰექტარზე მიღებული ყურძნიდან. თუ ვაზი მეტს ისხავს, მტევნის შეცლით ამცირებენ ვაზის დატვირთვას და სათანადოდ საჰექტარო მოსავალსაც. ცუდია, რომ ჩვენი მეღვინე საჰექტარო მოსავალს არ კითხულობს, მიზეზი კი ყურძნის ის დაბალი ფასია, რომელსაც თვითონ აწესებს. როგორც ხედავთ, გლეხმა ნაწილობრივ მონახა გამოსავალი, მაგრამ ქართული ღვინის ხარისხი რომ ეწირება მათ ამ მოუწესრიგებელ ურთიერთობას, ამაზე ვინ უნდა აგოს პასუხი?

როგორც ყოველთვის, წელსაც მეღვინეს და მევენახეს შორის დიდი გაუგებრობა მოხდა, მეღვინემ ყურძნის შესყიდვის სტარტზე დადებულ ფასს მალევე ჩამოაკლო 30-40%, რაც მევენახეთა პროტესტის საბაბი გახდა. შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებამ განაცხადა: საბაზრო ეკონომიკაა და ჩვენ საქმეში ჩარევის უფლება არ გვაქვსო. ასეთი გაუგებრობა მათ ურთიერთობაში, ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, ყოველთვის იქნება, ამიტომ მევენახეობა-მეღვინეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელისუფლება ვალდებულია, შეიმუშავოს მათი ურთიერთობის დამარეგულირებელი მექანიზმი. შექმნილ ვითარებაში საქმეს შეიძლება ასეთი ღონისძიებით დავეხმაროთ: ხელისუფლებამ უნდა შექმნას დარგის სპეციალისტთა სახელმწიფო კომისია, რომელიც ძირფესვიანად შეისწავლის როგორც ყურძნის, ისე ბოთლი ღვინის თვითღირებულებას მეღვინის მოგების პროცენტის გათვალისწინებით. ყურძნის თვითღირებულებას დაემატება მევენახის მოგების პროცენტი. მიღებული თანხა იქნება კილოგრამი ყურძნის ღირებულების ის მინიმუმი, საიდანაც უნდა დაიწყოს მევენახესა და მეღვინეს შორის ვაჭრობა ყურძნის საბოლოო ფასზე, ანუ თუ მევენახეს არ უხდიან კილოგრამ ყურძენში ფასის ამ მინიმუმს, ხელისუფლება უნდა ჩაერიოს მათ საქმეში და აღარ უნდა გადგეს განზე. ფასის ეს მინიმუმი უნდა გადაიხედოს ყოველ წელს კომისიის მიერ იმისდა მიხედვით, თუ რა ცვლილებები განიცადა იმ საქონლის ღირებულებამ, რომელსაც გლეხი იყენებს ყურძნის წარმოებაში.

სახელმწიფოს ჩარევა და მევენახე-მეღვინეს შორის ურთიერთობის დარეგულირება არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ მეღვინეს დაუწესოს ყურძნის შესასყიდი ფასი და აიძულოს ის ამ ფასით შეისყიდოს ყურძენი მევენახისაგან. ჩარევაში მე ვგულისხმობ შემდეგს: მთავრობა გახდეს ყურძნის ბაზარზე მეორე მოთამაშე და კონკურენცია გაუწიოს მეღვინეს. ამ მიზნით მთავრობას რეგიონში უნდა ჰქონდეს რამდენიმე ღვინის ქარხანა, რომელიც რთველის დაწყების პირველივე დღიდან მზად იქნებიან შეისყიდონ ნებისმიერი რაოდენობის ყურძენი იმ მინიმალური ფასით, რომელსაც ყურძნის მინიმალური ფასის დამდგენი კომისია დაადგენს, ზედმეტის გადახდა კი მეღვინე-მევენახის ვაჭრობის საგანი უნდა გახდეს. აღნიშნული ქარხნები სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს და უნდა გამოვიყენოთ როგორც მეღვინე სპეციალისტების აღზრდის სასწავლო ბაზად, ასევე ღვინის კვლევის სამეცნიერო ცენტრებად, რადგან დღეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ისეთ მეღვინეებს უშვებენ, ღვი-

ნის ქარხანაში მხოლოდ ექსკურსიაზე რომ არიან ნამყოფი. რაც შეეხება ღვინის მეცნიერულ კვლევას, ასეთი რამ თუა საჭირო ღვინის სამშობლოში, დიდი ხანია დაავიწყდათ ჩვენი განათლების მესვეურებსაც და მთავრობასაც, რაც დიდი სირცხვილია.

ვიმეორებ, მევენახე და მეღვინე ხელისუფლების ზრუნვის ობიექტები უნდა იყვნენ, რადგან ორივე მათგანის კეთილსინდისიერ შრომაზეა დამოკიდებული ქართული ღვინის ხარისხი, სახელი და ავტორიტეტი. ამავე დროს მეურნეობის ეს დარგი რეგიონის ძირითადი დამსაქმებელია

ვაზი საქართველოს სოფლის მეურნეობის მონოკულტურაა, ხოლო ღვინო, ჩვენი ძირითადი საექსპორტო საქონელია. გარდა ამისა, ვაზი და ღვინო ჩვენი თვითმყოფადობის და თვითდამკვიდრების საშუალებაა, ამიტომ ხელისუფლებას უფლება არ აქვს ვაზის და ღვინის ბედი მთლიანად ბაზარზე დამოკიდებული გახადოს. ხელისუფლება ვალდებულია გაუფრთხილდეს ქართული ღვინის სახელს და დაიცვას მისი ხარისხი ხელყოფისაგან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ბოთლის ეტიკეტზე დაწერილი სიტყვები: ,,ქართული ღვინო", ,,ქართული კონიაკი", ,,დამზადებულია საქართველოში". ბოთლის ეტიკეტზე, რომელზედაც ეს სიტყვები აწერია, ხელისუფლება ვალდებულია იცოდეს, როგორი სასმელი ასხია ბოთლში და როგორი ღვინო მიეწოდება მომხმარებელს.

ზურა გაბრიჭიძე,
სტუ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრის უფროსი მეცნიერ-მუშაკი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში არსებული პრობლემები და გაუმჯობესების შესაძლებლობები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმთავრესი ამოცანაა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყნის აგრარული პოტენციალის გამოყენებას, ამ დარგში შექმნილი და რეალიზებული პროდუქტის მოცულობის ზრდას. ამ დანიშნულებას სამინისტრო შეასრულებს, თუ მისი ყოველდღიური საქმიანობა მიმართული იქნება შედეგიანი პოლიტიკის ფორმირებისკენ, სტრატეგიული პროექტების ინიცირების და განხორციელების ხელშეწყობისკენ, საკანონმდებლო ბაზის სამი ძირითადი მიმართულებით განვითარებისკენ:

ა) ქვეყანაში წარმოებული აგროპროდუქციის მოცულობის ზრდა (საწარმოთა და ფერმერთა რაოდენობის ზრდის სტიმულირება, არსებული საწარმოების მხარდაჭერა სისტემური პრობლემების გადაწყვეტაში, ინვესტიციების სტიმულირება დარგში და ა.შ.);

ბ) წარმოებული პროდუქციის ხარისხის შესაბამისობა იმ ბაზრების მოთხოვნებთან, რომლებისთვისაც პროდუქცია არის განკუთვნილი (ხარისხის კონტროლი, ხარისხის განვითარების ხელშეწყობა);

გ) წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა (შიდა გაყიდვები, ექსპორტის ხელშეწყობა, ევროკავშირის ბაზრებზე გაყიდვების სტიმულირება).

ამასთან, სამინისტრომ ძალიან აქტიურად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტებთან, ეკონომიკის და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან, რათა ამ სამი ამოცანის კიდევ უფრო მაღალი ხარისხით გადაწყვეტას შეუწყოს ხელი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ბოლო პერიოდში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები, ალბათ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მისი საქმიანობის ეფექტიანობას, თუმცა ზემოთ აღნიშნული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის მხრივ რადიკალურ გარღვევას, ამ ცვლილებებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ არ უნდა ველოდოთ. შევეცდებით დავასაბუთოთ რატომ.

1. მოადგილეებს არამკაფიო პასუხისმგებლობები აქვთ.

დღევანდელ სტრუქტურაში გაუგებარია, რომელი მოადგილე რა ამოცანაზეა პასუხისმგებელი, რა მიმართულებით უნდა იფიქრონ კონცენტრირებულად, რა მიმართულებით დააგროვონ კომპეტენცია და ა.შ. მსგავსი მოდელი უშუალოდ მინისტრს უტოვებს იდეების და ცვლილებების ინიცირების ფუნქციას. მას უწევს განვითარების ძირითად საკითხებზე ზრუნვა სამივე სტრატეგიული მიმართულებით. ვფიქრობთ, რომ წარმოების მოცულობის გაზრდაზე, წარმოებული პროდუქციის ხარისხსა და გაყიდვების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი მოადგილეების არსებობა ყველაზე მეტად მიმართავდა მენეჯმენტის ყურადღებას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხებისადმი, ხელს შეუწყობდა ქვევიდან მეტი იდეების და ინიციატივების გაჩენას.

უცხოური წარმატებული ქვეყნების სტრუქტურების მაგალითებში ეს ნაწილი ცალსახად გადაწყვეტილია ისე, რომ სამინისტროს და იმ ქვეყნის წინაშე არსებული პრიორიტეტული ამოცანები გადანაწილებულია მოადგილეებზე. პირველი პირი უშუალოდ რომელიმე ამოცანის გადაჭრაზე არ არის პასუხისმგებელი, ის ჯამურ შედეგებზე იღებს პასუხისმგებლობას.

მაგ., გერმანიის კვებისა და სოფლის მეურნეობის ფედერალურ სამინისტროში დირექტორთა საბჭოში შემდეგნაირად არის როლები გადანაწილებული:

დირექტორი ცენტრალური მართვის საკითხებში;

დირექტორი სასურსათო პოლიტიკისა და ინოვაციების საკითხებში;

დირექტორი სურსათის უვნებლობისა და ცხოველთა ჯანმრთელობის საკითხებში;

დირექტორი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის საკითხებში; დირექტორი ბიოეკონომიკის, მდგრადი განვითარების და სატყეო საკითხებში; დირექტორი ევროკავშირის პოლიტიკისა და საერთ. თანამშრომლობის საკითხებში.

მაგ., გაერთიანებულ სამეფოში ამ მიმართულებით მუშაობს გარემოს, კვებისა და სოფლის მეურნეობის საქმეების დეპარტამენტი. აქ დირექტორები შემდეგნაირად ინაწილებენ პასუხისმგებლობებს: დირექტორი კანონმდებლობისა და რეგულაციების მიმართულებით; დირექტორი სტრატეგიისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით; დირექტორი მდგრადი ფერმერობისა და საკვების მიმართულებით; დირექტორი ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მიმართულებით – მთავარი ვეტერინარი; მთავარი ოპერაციების ხელმძღვანელი; დირექტორი გარემოს მიმართულებით; დირექტორი სამეცნიერო, ეკონომიკისა და სტატისტიკის მიმართულებით.

2. სტრუქტურაში 9 დეპარტამენტიდან მხოლოდ სამია პროფილური.

სასურველი იქნებოდა, რომ სტრუქტურაში ეს პროპორცია პირიქით ყოფილიყო იმისათვის, რომ ჯამურად სამინისტროში უფრო მეტი დეპარტამენტის უფროსის რესურსი უშუალოდ სოფლის მეურნეობის თემებზე ყოფილიყო მიმართული, ვიდრე მხარდამჭერ საკითხებზე.

მაგ., გაერთიანებულ სამეფოში 8 მთავარი მიმართულებიდან მხოლოდ ერთი მიმართულება მუშაობს მხარდამჭერ საკითხებზე, რომელიც მოქცეულია ოპერაციების მთავარი ოფიცრის დაქვემდებარებაში. შესაბამისად, ბორდზე 8 წევრიდან მხოლოდ ერთი წევრი წარმოადგენს მხარდამჭერ ფუნქციებს.

მაგ., ახალი ზელანდიის სტრუქტურაში არის 6 ძირითადი მიმართულება: სექტორული პარტნიორობა და პროგრამები, უსაფრთხოების ოპერაციები და უვნებლობა, კანონმდებლობა და რეგულაციები , პოლიტიკა და ვაჭრობა, დირექტორის ოფისი (სტრატეგიის დაგეგმვა და პოლიტიკის მართვა) და კორპორატიული სერვისები. აქედან მხოლოდ უკანასკნელი არის კონცენტრირებული სამინისტროს მხარდამჭერ და საოპერაციო ფუნქციებზე, დანარჩენები კი პოლიტიკის განმსაზღვრელები და განმახორციელებლები არიან.

3. პროფილური დეპარტამენტები ძალიან მსხვილი პასუხისმგებლობის მატარებლები არიან და, სამაგიეროდ, ძალიან ცოტა (სულ სამი).

ზოგადად, დეპარტამენტების ასეთი გამსხვილება და სამაგიეროდ მოადგილეებზე ცოტა ერთეულის დაქვემდებარება ასტიმულირებს დეპარტამენტის ხელძღვანელის როლის ხელოვნურად გაზრდას, მოადგილეების მმართველობითი რესურსის ნაკლებ განვითარებას. ასევე, ეს ართულებს დეპარტამენტების შიგნით მიმდინარე პროცესებზე მოადგილეების წვდომას და თვითონ დეპარტამენტების ქვესტრუქტურებსაც ბევრად უმცირებს რეგისტრს, მნიშვნელობასა და მენეჯმენტის ყურადღებას. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ეს დეპარტამენტები გაშლილიყო და მოადგილეებს 6-7, შედარებით მცირე, მაგრამ კონკრეტულ ამოცანებზე პასუხისმგებელი განყოფილებები პირდაპირ ჰქონოდათ დაქვემდებარებაში. ეს გაცილებით მეტი ამოცანის უკეთესი ხარისხით გადაწყვეტის საშუალებას მისცემდა სამინისტროს.

4. წინადადებები და ინიციატივები ქვევიდან ძალიან ნაკლებად შეიძლება წამოვიდეს.

ამ სტრუქტურაში ძირითადად ყველა სამსახური მინისტრის პირადი ან სხვა ტოპ-მენეჯერებიდან წამოსული ინიციატივების განხორციელებით იქნება დაკავებული. საჭიროა ქვევით გაჩნდნენ ამოცანებზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, რომლებიც თვითონ იფიქრებენ იმაზე, როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის ამოცანა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ამოცანების შემთხვევაში, როგორიცაა:

● ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობების ზრდა. მათ შორის მეცხოველეობის, მეთევზეობის, მემცენარეობის, მებაღჩეობა-მებოსტნეობის ან სხვა ვიწრო სფეროების მიმართულებით.

მაგ., იაპონიაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიურო, რომელიც მუშაობს წარმოების ზრდის პოპულარიზაციაზე. დარგების მიხედვით აქვთ შექმნილი დივიზიონები და ახალისებენ მოსახლეობას, რომ მათ მიიღონ რაც შეიძლება დიდი მოსავალი.

● წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაზრდა და მიზნობრივი ბაზრების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. მათ შორის ევროკავშირის ბაზრებისთვის, მეზობელი ქვეყნებისთვის, ან სხვა ბაზრებისთვის, სადაც ჩვენი პროდუქცია შეიძლება იყიდებოდეს.

მაგ., ლიტვაში აქვთ ხარისხის პოლიტიკის ქვედანაყოფი, რომელიც ევროკავშირთან ურთიერთობების და დარგობრივ ქვედანაყოფებთან ერთად მუშაობს პროდუქციის ხარისხის სტანდარტების შექმნაზე, დანერგვაზე და საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, პოლიტიკის დონეზე.

● საქართველოში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ზრდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში.

ასევე, იაპონიაში იგივე ბიურო მუშაობს პროდუქციის მარკეტინგსა და გაყიდვის ხელშეწყობაზე პრიორიტეტული ინდუსტრიების მიხედვით, რისთვისაც აქვთ შემდეგი ქვედანაყოფები: მარკეტინგის და პროცესინგის მენეჯმენტის ოფისი (მარცვლეულის მიმართულებით), მარკეტინგის და პროცესინგის მენეჯმენტის ოფისი (ხილისა და ბოსტნეულის მიმართულებით), მარკეტინგისა და გაყიდვების პოლიტიკის ოფისი (ხორცისა და რძის პროდუქტების მიმართულებით).

თუ კონკრეტულად ამ ამოცანებზე პასუხისმგებელი პირები არ იქნებიან სტრუქტურაში, სამინისტროს ყოველთვის ზემოდან წამოსული იდეებისა და ინიციატივების იმედად მოუწევს ყოფნა. ეს არც იდეების და ინიციატივების რაოდენობისთვის იქნება კარგი, არც მათ ხარისხს აამაღლებს და არც განხორციელებას შეუწყობს ხელს.

ამის გარდა, აუცილებელია ისეთი ტიპის ფორმალური კოლეგიალური რგოლების არსებობა, როგორიც შეიძლება, მაგალითად, იყოს: პროდუქციის ხარისხის განვითარების საბჭო, გაყიდვების სტიმულირების საბჭო, სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობის ზრდის სტიმულირების საბჭო, სადაც რეგულარულად უნდა იყრიდეს თავს ქვევიდან წამოსული იდეები ამ მიმართულებით. იქ, სადაც ასეთი ფორმატები არ არსებობს (სტრუქტურაში არ ჩანს ასეთი რგოლების არსებობა), იდეების გენერაციის პროცესი სისტემური არ არის.

მაგ., იაპონიის სოფლის მეურნეობის, სატყეო და მეთევზეობის სამინისტროში არსებული კოლეგიალური ორგანოებია:

საკვების, სოფლის მეურნეობისა და სავარგულების პოლიტიკის საბჭო; საქვეუწყებო სააგენტოების შეფასების კომიტეტი; იაპონური სოფლის მეურნეობის სტანდარტების საბჭო; ვეტერინარული საქმეების საბჭო;

სოფლის მეურნეობის, სატყეო და მეთევზეობის დაზღვევის საბჭო.

5. კომპეტენციის, ინფორმაციისა და გამოცდილების ინსტიტუციონალური დაგროვება მნიშვნელოვანი მიმართულებებით არსებული სტრუქტურით ეფექტიანად ვერ მოხდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპეტენციების დაგროვება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა:

სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ საწარმოებთან მუშაობა, მათგან პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოგროვება, ანალიზი და რეაგირება; სოფლის მეურნეობის ექსპერტების შესახებ ინფორმაციის მოგროვება, მათთან ურთიერთობის აწყობა, მათთან ერთად მუშაობის ცოდნა; თანამედროვე ტექნოლოგიების ძიება, გადმოტანა და დანერგვის ხელშეწყობა; სხვადასხვა ქვეყნებში ჩვენს საელჩოებთან თანამშრომლობის ცოდნა და გამოცდილება, ამ

ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვების სტიმულირების მიზნით; მუშაობის გამოცდილება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან აგროპროდუქციის გაყიდვების ხელშეწყობისთვის, ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით; უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებთან მუშაობის ცოდნა და გამოცდილება, ვისაც სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელების ინტერესები აქვს, მათი მოზიდვა და მომსახურება, დახმარება საინფორმაციო უზრუნველყოფაში.

ეს ცოდნა და კომპეტენციები სისტემურად ვერ დაგროვდება სამინისტროში, სანამ ამ მიმართულებებით კონკრეტულად პასუხისმგებელი პოზიციები და სამსახურები არ გაჩნდებიან. ყველა სხვა შემთხვევაში მუშაობა ამ მიმართულებებით სპონტანური და არათანმიმდევრული იქნება, მუშაობის შედეგებიც - ნაკლებად სტაბილური და დამაკმაყოფილებელი ხარისხის.

6. სტრუქტურაში პრაქტიკულად არავინ მუშაობს სოფლის მეურნეობაში ჩართული პირების პრობლემების კვლევასა და მათ მხარდაჭერაზე.

სოფლის მეურნეობაში მომუშავე საწარმოების, მცირე და საშუალო ფერმერების, სხვა ასეთი ინდივიდუალური თუ იურიდიული პირების პრობლემების კვლევა, მათთან უკუკავშირი, მათი პრობლემების ანალიზი და ამ პრობლემების მოგვარებაში მაქსიმალური მხარდაჭერა სამინისტროს საქმიანობის ის მიმართულებაა, საიდანაც ყველა დანარჩენი მოქმედება, იქნება ეს პოლიტიკის ფორმირება, სტრატეგიული პროექტების ინიცირება თუ საკანონმდებლო ბაზის განვითარება, უნდა იღებდეს სათავეს. სტრუქტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კონკრეტულად ამ ამოცანაზე პასუხისმგებელი რგოლი სამინისტროში არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სამუშაო იმ ხარისხით და იმ მასშტაბით წესით ვერ უნდა კეთდებოდეს, რასაც ის თავისი მნიშვნელობის მიხედვით იმსახურებს.

7. სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტი თავის თავში ძალიან ბევრ ფუნქციას და ამოცანას აერთიანებს, რაც გაურთულებს თითოეულის ხარისხიანად გადაჭრას.

ის, რასაც მთელი სამინისტრო ან მისი უდიდესი ნაწილი უნდა აკეთებდეს წესით, ამ ყველაფრის ერთ დეპარტამენტში გაერთიანება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ უმეტესი ნაწილი ან არ გაკეთდება, ან საკმარისი ხარისხით არ გაკეთდება, ან ის მხარდაჭერა და ყურადღება არ ექნება, რაც უნდა ჰქონდეს ამ მიმართულებებს. დღეს რომ მის წინაშე არსებული ამოცანები იჭრებოდეს, მინიმუმ, იდეები მაინც არ წამოვა ქვემოდან და მხოლოდ მინისტრისგან მიცემული დავალებების შესრულების მცდელობით იქნება დაკავებული. ამასთან, ამ რგოლის ხელმძღვანელი მინისტრის მოადგილეებისთვის ჩაკეტავს ინფორმაციას და გაართულებს ამ თემების მართვას.

მაგ. ლიტვაში ეს ფუნქციები სხვადასხვა დეპარტამენტშია გადანაწილებული: ცალკე არსებობს სოფლის განვითარების დეპარტამენტი, მიწისა და რესურსების დეპარტამენტი, წარმოებისა და კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი, მეთევზეობის დეპარტამენტი.

მაგ. გაერთიანებული სამეფოს კვებისა და სოფლის საქმეების დეპარტამენტში ერთ-ერთი დირექტორია პასუხისმგებელი მდგრადი მეურნეობისა და კვების მიმართულებაზე. იგი დაყოფილია 3 მსხვილ სტრუქტურად, თითოეული კი ქვესტრუქტურებად. ეს 3 ძირითადი სტრუქტურაა: (1) მდგრადი მეურნეობის სტრატეგია, (2) მდგრადი "კვების ჯაჭვი" (food chain), (3) ანალიზი და საერთო სასოფლო პოლიტიკა. აქედან პირველი მიმართულება მუშაობს მდგრადი აგროსტრატეგიის შექმნაზე, სამეურნეო ბიზნესის განვითარებაზე, ინოვაციებსა და უკეთეს რეგულაციებზე ფერმერებისთვის და ა.შ. მეორე მიმართულება მუშაობს მარცვლეულზე, მცენარეებსა და წარმოებაზე, მცენარეების სიჯანსაღეზე, ცხოველურ პროდუქტებზე, მცენარეების მრავალფეროვნებაზე, საკვების ჯაჭვის კონკურენტუნარიანობაზე და ა.შ. მესამე მიმართულება კი ატარებს გამოკითხვებს საჭიროებების დადგენის მიზნით, სტატისტიკას უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად, აანალიზებს სასოფლო-სამეურნეო ბაზის ეკონომიკას და ქმნის საერთო სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიას.

8. პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი მსგავსი სტრუქტურით შედარებით რეაქტიული რგოლი იქნება.

დეპარტამენტის ასეთი სახით არსებობა გვაფიქრებინებს, რომ მისი საქმიანობიდან ვერც პოლიტიკა შემუშავდება მაღალი ხარისხით და ვერც ანალიტიკა.ის, სავარაუდოდ, მხოლოდ მენეჯმენტის ანალიტიკური დავალებების შესრულებით იქნება დაკავებული.

ანალიტიკა უნდა იყოს პოლიტიკის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი წყარო. ის თავისთავად ცალკე აღებული უმნიშვნელოვანესი სტრუქტურაა. პოლიტიკის და ანალიზის ფუნქციების ერთად დაჯგუფებით ვიღებთ რგოლს, რომელიც მხოლოდ ანალიზზეა ორიენტირებული და პოლიტიკის ფორმირებაში ვერ მონაწილეობს, თანაც სულ მუდმივად დავალებებს ელოდება, თუ რისი ანალიზი გააკეთოს და როგორ.

პოლიტიკის ფორმირება თავის მხრივ სამინისტროს უმთავრესი ფუნქციაა სამი მთავარი ფუნქციიდან (პოლიტიკა, სტრატეგიული პროექტების ინიცირება-სტიმულირება, საკანონმდებლო ბაზის განვითარება) და ის არა თუ ანალიზთან ერთად უნდა იყოს ქვედანაყოფში გაერთიანებული, არამედ რამდენიმე მსხვილ სტრუქტურულ ერთეულში უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა მიმართულებით (მესაქონლეობა – მეცხოველეობა, მემცენარეობა და ა.შ.)

ამასთან, ანალიზის სამსახურიდან წამოსული პროდუქტები მენეჯმენტის ფილტრს უნდა გადიოდეს, სანამ მათით სარგებლობას პოლიტიკის სამსახურები დაიწყებენ. ამისათვის კი ეს ორი ფუნქცია შესაძლოა ერთი მოადგილის ქვეშ მოექცეს, მაგრამ, სასურველია, ცალ-ცალკე იყოს ერთმანეთისგან.

მაგ., იაპონიის სოფლის მეურნეობის, სატყეო და მეთევზეობის სამინისტროში საინტერესო გადაწყვეტა აქვთ

ამ მხრივ. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებობს პოლიტიკის დაგეგმვის დივიზიონი, რომელშიც შედის ინფორმაციის ანალიზის ოფისი და ინიციატივების კოორდინაციის ოფისი. ისინი მუშაობენ პოლიტიკის დაგეგმვაზე სამინისტროს მასშტაბით და ასევე ბიუროებიდან წამოსულ ინიციატივებზე ახდენენ რეაგირებას. ამის პარალელურად ცალკე არსებობს სტატისტიკის დეპარტამენტი, რომელშიც შედის წარმოების, მარკეტინგის და მოხმარების სტატისტიკის დივიზიონი. ისინი აკეთებენ დეტალურ სტატისტიკურ ანალიზს მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებების მისაღებად. რაც შეეხება ბიუროებს (სოფლის მეურნეობის წარმოების ბიურო, მართვის განვითარების ბიურო, სოფლის განვითარების ბიურო, კვების ინდუსტრიის წარმოების ბიურო), რომლებიც ახორციელებენ სამინისტროს საოპერაციო საქმიანობის დიდ ნაწილს, თითოეულს შიგნით აქვს თავისი მიმართულებით პოლიტიკის ერთეული. ამასთან, სამინისტროს დონეზე არსებობს საკვების, სოფლის მეურნეობისა და სოფლის არეალის პოლიტიკის საბჭო, სადაც მიიღება ძირითადი გადაწყვეტილებები.

9. დღეს მოქმედი სტრუქტურით სამინისტროს მენეჯმენტს ძალიან გაუჭირდება ფერმერების ხელშეწყობა ადგილობრივი გაყიდვების გაზრდაში.

სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მცირე მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ოჯახებისთვის გაყიდვებში ხელშეწყობა საქმიანობის განვითარების უმთავრესი პირობაა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, წესით, სამინისტრო ძალიან აქტიურად უნდა მუშაობდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, კერძო მეწარმეებთან; უნდა ზრუნავდეს ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ბაზრის და ბაზრობების მოწყობა-ორგანიზებაზე. ამ მიმართულებით არც ერთი მოადგილე და არც ერთი მსხვილი სამსახური კონკრეტულად პასუხისმგებელი არ არის. და თუ ვინმე მუშაობს, ეს მისთვის სხვა საქმეებთან ერთად მიცემული ერთჯერადი, ან ყოველ შემთხვევაში არაპრიორიტეტული დავალებაა. სწორედ ამის გამო ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ვერც გამოცდილებას, ვერც ცოდნას ასეთი ტიპის საქმიანობის კუთხით სამინისტრო ვერ დააგროვებს და ვერც შედეგები ექნება განსაკუთრებული, სანამ ამ მიმართულებით კონკრეტულ, თუნდაც მცირე ზომის, მაგრამ სტრუქტურულ ერთეულს არ შექმნის.

10. ექსპორტის სტიმულირების სტრუქტურული დაკნინება მეორე დიდი საკითხია გაყიდვების ხელშეწყობის ამოცანაში.

ვფიქრობთ, რომ ექსპორტის ხელშეწყობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არათუ მიზნობრივი ერთეული უნდა მუშაობდეს ამაზე, არამედ ევროკავშირის მიმართულება და ყველა დანარჩენი გამიჯნული უნდა იყოს ერთმანეთისგან. ევროკავშირის მიმართულებით ექსპორტის სტიმულირება განსაკუთრებული კონცენტრაციის საგანი უნდა იყოს სამინისტროს მხრიდან. ამ მიმართულებით ის არათუ თვითონ უნდა აგროვებდეს ცოდნას და გამოცდილებას, არამედ ძალიან აქტიურად უნდა ავრცელებდეს მას სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ საშუალო და მსხვილ საწარმოებს შორის. სტრუქტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ამოცანაც ან არავის აბარია, ან მისი სტატუსი არ შეესაბამება ამოცანის მნიშვნელობას ან სხვა ბევრ ამოცანასთან ერთად აქვს ვიღაცას დავალებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც ცოდნა და გამოცდილება დაგროვდება ამ კუთხით საჭირო ტემპებით და ვერც შედეგები იქნება მაინცდამაინც სახარბიელო.

მაგ. ისრაელის სამინისტროში არსებობს საგარეო ვაჭრობის ცენტრი, რომელიც ერთი მხრივ გეგმავს ექსპორტს და ზრუნავს ექსპორტის წახალისებაზე. ასევე, აქ აქვთ საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს სამინისტროს და მეურნეობების საერთაშორისო აქტივობებზე, მათ შორის საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებების მიღწევაზე ლიბერალიზაციასთან და გადასახადების შემცირებასთან დაკავშირებით.

მაგ. ლიტვაში საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პარალელურად აქვთ ევროკავშირის საქმეების კოორდინაციის დივიზიონი, რომელიც მუშაობს ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

მაგ. გერმანიის სამინისტროს სტრუქტურაში ერთ-ერთი დიდი მიმართულება ეხება ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელება/დანერგვასა და საერთაშორისო თანამშრომლობას. ეს მიმართულება ზრუნავს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე, ევროკავშირის პოლიტიკის კოორდინაციაზე, ვაჭრობის საკითხებზე, საერთაშორისო პროექტების განხორციელებაზე.

მაგ. ირლანდიის სოფლის მეურნეობის, საკვებისა და ზღვაოსნობის სამინისტროში 2 მიმართულება მუშაობს ამ კუთხით: ერთი, რომელიც წარმომადგენელია ევროკავშირში და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებში მოლაპარაკებისას, და მეორე, რომელიც უშუალოდ მუშაობს სოფლის მეურნეობის დარგში ევროკავშირის სქემების განვითარებასა და განხორციელებაზე.

11. სტრუქტურა უფრო მეტად პროდუქციის ხარისხის კონტროლზეა ორიენტირებული და ნაკლებად – ხარისხის ამაღლების მხარდაჭერაზე.

სტრუქტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთავარი ფუნქცია, რომლითაც სამინისტრო სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფას ცდილობს, ძირითადად ხარისხის კონტროლის ფუნქციაა, რასაც ის სურსათის სააგენტოს მეშვეობით ახორციელებს. ვფიქრობთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში კონტროლზე არანაკლები მნიშვნელობის საკითხია ხარისხის ამაღლებაში მეწარმეთა და ფერმერთა დახმარება. ჩვენი აზრით, ეს ამოცანა გაცილებით მაღალი რანგის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს სამინისტროსთვის, ვიდრე სურსათის უვნებლობის კონტროლია. ამ მიმართულებით კი სტრუქტურაში ამოცანის პრიორიტეტულობის შესაბამისი რანგის პასუხისმგებელი არ ჩანს, არც ქვედანაყოფი

ჩანს კონკრეტულად, რომელიც ამ მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს, საკანონმდებლო ბაზის განვითარებას საკმარის და საჭირო რესურსებს დაუთმობს. ამის გამო ვვარაუდობთ, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაშიც სამინისტროს მენეჯმენტს სტრუქტურა დიდად ვერ დაეხმარება, რაც შედეგებზეც აუცილებლად მოახდენს გავლენას.

12. აგრარული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა ძირითადად მხოლოდ სამელიორაციო სისტემების განვითარების დონეზე იჭრება

აგრარული ინფრასტრუქტურის განვითარებაში სამელიორაციო სისტემის განვითარება განსაკუთრებით მაღალ დონეზეა სტრუქტურის მიხედვით აყვანილი. ამ მიმართულებით სამიდან ერთი პროფილური დეპარტამენტი მუშაობს (მელიორაციის პოლიტიკის დეპარტამენტი) ისევე, როგორც სამინისტროს შპს "გაერთიანებული მელიორაციული სისტემები". ეს, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა, ვფიქრობთ, არამარტო სამელიორაციო, არამედ ზოგადად სახელმწიფოში აგრარული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა სამინისტროსთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აგრო-ინფრასტრუქტურა მუშაობდეს და ვითარდებოდეს სამინისტროსთვის როგორც პოლიტიკის, ისე სტრატეგიული პროექტების და საკანონმდებლო ბაზის განვითარების დონეზე, ამ მიმართულებებით გამოკვეთილი პასუხისმგებლობა სტრუქტურაში არ ჩანს (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ეს ფუნქცია სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტს უწერია ამოცანებში, თუმცა, ვეჭვობთ, რომ ამის გადასაჭრელად სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანები შეუშლის მას ხელს). ან მენეჯმენტი ერთჯერადი დავალებების გაცემით ახერხებს ამ მიმართულებით წინსვლას ან შესაძლოა ეს პასუხისმგებლობა დაბალი რანგის მენეჯერს აკისრია, სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, რაც, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ამ მიმართულებით სამინისტროს პერმანენტული და ნაყოფიერი მუშაობის წინაპირობა. დღეს ამ მიმართულებით სამინისტროს სტრუქტურა მინისტრისგან ან უფრო ზევიდან წამოსული დავალებების შესრულებაზე თუ იზრუნებს (როგორც ფუნქციონირებს, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის საჯარო ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი), თორემ ქვევიდან მიზნობრივად ამ მიმართულებით ინიციატივებსაც ნაკლებად გამოიჩენენ და არც ცოდნა და კომპეტენცია დაგროვდება საჭირო დონეზე.

მაგ., იაპონიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების ბიუროში არსებობს სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტი, რომელიც შედგება რამდენიმე დივიზიონისგან: დიზაინის/დაპროექტების დივიზიონი, მიწის გაუმჯობესების დაგეგმვისა და მართვის დივიზიონი, წყლის რესურსების დივიზიონი, ფერმების დივიზიონი, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და კატასტროფების თავიდან ასაცილებელი და რესტავრაციის დივიზიონი. მთლიანობაში ისინი მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განახლებასა და მუდმივ განვითარებაზე.

13. არსებული სტრუქტურით ვეჭვობთ, რომ სათანადოდ გადაიჭრას თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების ძიების და დანერგვის ხელშეწყობის ამოცანა.

ყველას მოგვეხსენება თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების ძიების და პრაქტიკაში გადმოტანის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამ სტრუქტურის მიერ, სავარაუდოდ, ამ ტექნოლოგიების გავრცელება და სწავლება არ მოხდება ისე, როგორც საჭიროა (პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტი, რომელსაც გარდა ამისა საკმაოდ ბევრ ამოცანაზე აკისრია პასუხისმგებელობა, სავარაუდოდ ამ მიმართულებით მიზანმიმართულად ვერ იმუშავებს მიუხედავად იმისა, რომ დებულებით მას აქვს განსაზღვრული ეს ამოცანა). ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით სამინისტრო მუდმივად ძალიან აქტიურად უნდა მუშაობდეს. რაც მთავარია, ამაზე უნდა მუშაობდნენ რიგითი თანამშრომლები, ქვევიდან უნდა მოდიოდეს წინადადებები და პროექტების იდეები ამ მიმართულებით და არა ისე, რომ მინისტრი, მისი მოადგილე ან რომელიმე დეპარტამენტის ხელმძღვანელი სადმე გამოფენაზე აღმოაჩენს საინტერესო მიგნებას და დაიწყებს ამ იდეის გადმოტანაზე მუშაობას. მარტო ასეთი მიდგომით ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების ძიებასა და გადმოტანაზე ზრუნვა ვერასოდეს იქნება სისტემური და თანმიმდევრული.

მაგ., ისრაელის „სოფლის მეურნეობის კვლევითი ორგანიზაცია" არის სამინისტროს ერთ-ერთი ქვეუწყება, რომელიც არის არამარტო ისრაელში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი კვლევითი ინსტიტუტი, რომლის მთავარი დანიშნულებაა დაეხმაროს ისრაელის ფერმერებს სხვადასხვა პროფესიული პრობლემების გადაჭრაში. ეს არის ადგილი, სადაც ხდება აგროსამეურნეო გადაწყვეტების დამუშავება. აქ ხდება ახალი და არსებული აგრომიმართულებების დაგეგმვა და განვითარება. მათი ინოვაციები დაინერგა და ინერგება სოფლის მეურნეობის განსხვავებულ დარგებში.

მაგ., გერმანიის კვებისა და სოფლის მეურნეობის ფედერალურ სამინისტროში არის რიგი კვლევითი ინსტიტუტებისა, რომელთა კვლევითი შედეგებია სამინისტროს პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი. ეს კვლევითი ინსტიტუტები სპეციალიზირებულნი არიან თემების მიხედვით: კვება და საკვები, ცხოველთა ჯანმრთელობა, მცენარეები, მეთევზეობა, მეტყევეობა, ბიომასა და ა.შ.

14. ინვესტიციების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში წინაპირობაა როგორც პროდუქტების ხარისხის ამაღლების, ისე მთლიანად დარგის განვითარებისათვის.

ინვესტორების მოზიდვა, მათი ინფორმირება, მათთან აქტიური მუშაობა, მათი მომსახურება ადგილზე საქმიანობის ის მიმართულებაა, რომელსაც სამინისტრო, ჩვენი აზრით, ყოველდღიურად უნდა ანხორციელებდეს როგორც პოლიტიკის, ისე სტრატეგიული პროექტების ინიცირება-სტიმულირების, ასევე საკანონმდებლო ბაზის განვითარების მიმართულებით. ამ საკითხებზე თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უფრო აქტიურად არ იმუშავებს (და არამარტო პოლიტიკის და ანალიზის დეპარტამენტის დონეზე), გაცილებით

მეტი დრო დასჭირდება ქვეყნისათვის სასურველი დონის მიღწევას. დღევანდელ მოწყობაში ამ მიმართულებით პასუხისმგებელი სამსახური არ ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ან კონკრეტულად არავინ არის პერმანენტულად პასუხისმგებელი ამ მიმართულებით მუშაობაზე, ან მისი სტატუსი არ არის სათანადო, ან სხვა რამდენიმე საკითხთან ერთად მუშაობს ამაზე, რაც ასევე ვერ დაეხმარება ქვეყნისათვის საჭირო დონეზე ამოცანის სათანადო ხარისხით გადაწყვეტას. ვფიქრობთ, ეს ისეთი მიმართულებაა, რომელსაც სამინისტროს სტრუქტურაში სათანადო ადგილი უნდა ეკავოს.

ამ მხრივ საუკეთესო პრაქტიკა 2 სახისაა: მსგავს ამოცანაზე მომუშავე ქვედანაყოფი გვხვდება ან თავად სამინისტროში (ეს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში), ან სამინისტროს აქვს კარგად აწყობილი ურთიერთობები ინვესტორების მოზიდვის სხვა სტრუქტურებთან (სამინისტროს გარეთ) და მათი საშუალებით ჭრიან ამ ამოცანას.

* * *

არ ვფიქრობთ, რომ ზემოთ ხსენებული ფუნქციონალური ვაკუუმების შევსებას ძალიან სერიოზული რესურსების დამატება სჭირდება. გვგონია, რომ არსებული რესურსების რელოკაციით, შესაბამისი მცირე სამუშაო ჯგუფების და მცირე განყოფილებების შექმნით, მათი ზედმეტი შუამავლის გარეშე პირდაპირ მოადგილეებთან დაქვემდებარებით და სათანადო საკომუნიკაციო-საკოორდინაციო კოლეგიალური ფორმატების ამუშავებით სამინისტროში დასაქმებული ადამიანები ბევრად უფრო მკაფიო და შედეგზე ორიენტირებულ ამოცანებზე გახდებიან კონცენტრირებული ყოველდღიურ მუშაობაში, აღარ იქნება საჭირო მათთვის ყოველდღიური დავალებების მიცემა, მეტი ცოდნა და კომპეტენცია დაგროვდება დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვან თემებზე, მეტი და უკეთესი ხარისხის იდეები და ინიციატივები წამოვა ქვევიდან. ეს ყველაფერი გაცილებით მეტი ცვლილების უფრო სწრაფად და ხარისხიანად განხორციელების წინაპირობა გახდება, რაც აუცილებლად მოახდენს არსებით გავლენას სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ტემპებზე და სამინისტროც ბევრად უკეთ შეძლებს მისი დანიშნულების შესრულებას.

სტრატეგი ჯგუფი
strategy.ge

გამოყენებული მასალა:

1. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა.
2. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულება.
3. გერმანიის კვებისა და სოფლის მეურნეობის ფედერალური სამინისტროს სტრუქტურა.
4. ისრაელის სოფლისა და მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა.
5. ისრაელის სოფლის მეურნეობის კვლევითი ორგანიზაციის სტრუქტურა.
6. იაპონიის სოფლის მეურნეობის, სატყეო და მეთევზეობის სამინისტროს სტრუქტურა.
7. ლიტვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა.
8. ირლანდიის სოფლის მეურნეობის, საკვებისა და ზღვაოსნობის სამინისტროს სტრუქტურა.
9. ახალი ზელანდიის ძირითადი ინდუსტრიების სამინისტროს სტრუქტურა.
10. გაერთიანებული სამეფოს გარემოს, კვებისა და სოფლის მეურნეობის საქმეების დეპარტამენტის სტრუქტურა.

Bio

სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების და ბიოასოციაციების საფუძველზე ბიომეურნეობის (ბიოკოოპერატივის) ფორმირება

დღეისათვის მთელ მსოფლიოში ბიოაგროსექტორის განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობს. ბევრ ქვეყანაში ეს საკითხი სახელმწიფოს პრიორიტეტად აქვს აღიარებული, თუმცა ყველა მათგანს საკუთარი მიდგომები გააჩნია. მსოფლიოს 170-მდე ქვეყნის გამოცდილების შესწავლისა და საქართველოში არსებული მცირე გამოცდილების საფუძველზე ბიოაგროწარმოების დაჩქარებული ტემპით განვითარება შესაძლებელია, რასაც ბიოწარმოების განვითარების ქართული ვარიანტი შეიძლება ვუწოდოთ.

მეურნეს რაც არ უნდა ძლიერი იყოს, ცალკე მაინც გაუჭირდება ბიომეურნეობის ფორმირება და შემდგომ მისი გაძღოლა. ამისათვის მას რომელიმე სამეცნიერო-საწარმოო

ტიპის ბიოასოციაცია აუცილებლად დასჭირდება, რომელიც მხარში დაუდგება და ბოლომდე უერთგულებს. მას ურჩევნია ასეთი ტიპის ასოციაციაში განევრიანდეს და ხელშეკრულების საფუძველზეც იმოქმედოს. შედგება რა ასოციაციის და ბიომეურნეობის შექმნის მსურველის ურთიერთობა, მაშინვე იწყება ამ სურვილის შესწავლა, თუ რამდენად არის შესაძლებელი მისი რეალიზაცია. ამისათვის ასოციაცია გულმოდგინედ სწავლობს ფერმერის საწყის პირობებს: პირველ რიგში ნიადაგს, სარწყავ წყალს, ჰაერს, სამეზობლოს, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პირობებს, დაფინანსების წყაროებს, დაზღვევის პირობებს, მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობებს (ექნება თუ არა საკუთარი სასუქი და ბიოგაზის წყარო). სწავლობს მის მენეჯერულ უნარს და მარკეტინგის

განვითარების შესაძლებლობებს, ანალიზს უკეთებს ყოველივე ამას და აკეთებს დასკვნას, რამდენად არის შესაძლებელი მისი განზრახვის განხორციელება, აუცილებლობის შემთხვევაში ფერმერთან ერთად ახდენს გეგმის კორექტირებას. არ არის გამორიცხული, რომ მისი (ფერმერის) ჩანაფიქრი ვერ განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ წყალი, სამეზობლო, მაღალი რადიაცია ან სხვა რაიმე ხელისშემშლელი პირობა არსებობს, რომელიც არ შეესაბამება არსებულ ბიოსტანდარტებს (ყოველ შემთხვევაში იმ ეტაპზე). ასეთ შემთხვევაში ასოციაციას უნდა შეეძლოს ფერმერს სადმე სხვაგან შესთავაზოს ალტერნატიული ფართობი იჯარით, ხოლო მის კუთვნილ ფართობზე იმუშაოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რათა გარკვეული პერიოდის შემდეგ მაინც შეძლოს მისმა მეპატრონემ ბიოწარმოების განვითარება. დადებითი დასკვნის შემთხვევაში კი მიღებული მონაცემების საფუძველზე ასოციაცია მეურნესთან ერთად აკეთებს პროექტს და ტექნოლოგიურ რუკას. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს ამ მეურნეობის რეგისტრაცია "კავკასსერტში". რეგისტრაციის შემდეგ გზადაგზა მრავალი პრობლემა წამოიჭრება, რასაც ბიოფერმერი ასოციაციასთან ერთად ადვილად გაართმევს თავს.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც ერთი ბიომეურნეობა, რომელიც საქართველოშია რეგისტრირებული, ასე არ მოქცეულა, ე. ი. არავის შეუსწავლია მათი საწყისი მონაცემები, ამიტომ ყველა ამ მეურნეობის საფუძვლიანი შესწავლაა საჭირო. არსებული პრაქტიკით მხოლოდ სამუშაო პროცესის ინსპექტირებაც საკმარისი არ არის, მით უმეტეს, რომ იგი წელიწადში ერთხელ ტარდება და ისიც წინასწარ გაფრთხილების საფუძველზე. ამიტომ მეტი დამაჯერებლობისათვის გამორიცხული არაა, რომ პროდუქციის ლაბორატორიული ანალიზიც დაგვჭირდეს. სახელმწიფოს როლი აქ ძირითადად იქნება ბიოასოციაციის გაძლიერებისათვის ხელშეწყობა. ასოციაციამ უნდა შეძლოს სახელმწიფოს დახმარებით იმ მეურნეების ინსპექტირების და დაზღვევის ხარჯების დაფარვა, ვისაც ყველა სხვა პირობა აქვს ბიოწარმოებისათვის ფულის გარდა. ასოციაციას ხელი უნდა მიუწვდებოდეს როგორც მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ საშუალებებზე, ასევე ბიოსასუქებზე და ბიოტექნოლოგიებზე, უნდა ჰქონდეს საკუთარი ან ხელშეკრულებით აღებული თანამედროვე კარგად მოწყობილი ლაბორატორია, უნდა ჰყავდეს პროფესიონალი მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებსაც ანაზღაურებას გადაუხდის გამომუშავების მიხედვით იმ ფონდიდან, რომელიც მას ექმნება საკუთარი პროგრამების რეალიზაციით, სახელმწიფოს პირდაპირი დახმარებით, ბიზნესმენთა და სპონსორთა დაფინანსებით, შემოწირულობებით და სხვა. გარდა ამისა, ასოციაციას მჭიდრო სამეცნიერო-ეკონომიკური ურთიერთობები უნდა ჰქონდეს როგორც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციებთან. თუ სახელმწიფოს ნამდვილად სურს ბიოსექტორის განვითარება, ასეთი ასოციაციების გაძლიერებას აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი. თუმცა ჯერ კარგად უნდა გაირკვეს არსებული ბიოასოციაციებიდან ვინ რას აკეთებს რეალურად და ვინ რის გამკეთებელია სამომავლოდ. თუ ასეთი ასოციაციები არ იქნება. მთელი ტვირთის აღება მოუწევს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს, რომელთაც ისედაც ძალიან ბევრი საქმე ექნებათ. კერძოდ, მათ უნდა შეძლონ არა უბრალოდ სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგის ან მიმართულების გამეცნიერება, არამედ ალტერნატიული სოფლის მეურნეობის-პირველადი წარმოების და გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის სამეცნიერო ბაზის უზრუნველყოფა, ანუ ასკ-ის მთლიანი სისტემის ბიოაგროგანვითარება. მხოლოდ პირველადი ბიოწარმოების შექმნას აზრი არ ექნება. ამიტომ ჯობია ბიოსამეცნიერო საწარმოო ასოციაციები ქვეყანაში რამდენიმე მაინც იყოს, ხოლო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა თავისი საქმე აკეთონ: როგორიცაა ბიოწარმოების სახელმწიფო სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავება, რეგიონული და ადგილობრივი პროგრამების განსაზღვრა, ბიონორმატივების შემუშავება და ზონებისა და ქვეზონების მიხედვით სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნა, სადაზღვევო და საფინანსო უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა, მომზადება-გადამზადების კურსების მოწყობა, ბიოაგრარული განათლების გაძლიერებაზე ზრუნვა და სხვა. აგრეთვე გარკვეული ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმეების მოგვარება, როგორიცაა ბიოასოციაციების, ბიომეურნეობების და ყველა იმ საქმიანობის ანალიზი, კონტროლი და აუცილებელი ქმედითი ღონისძიებების გატარება, რაც ბიოწარმოების დანერგვასთან არის დაკავშირებული-ძირითადად სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულებით.

აუცილებელია გავიმეოროთ, რომ ბიოწარმოება მხოლოდ მემცენარეობის და მეცხოველეობის პირველადი წარმოება არაა, აუცილებელია აქტიური მუშაობა როგორც პირველად წარმოებაზე, ასევე გადამუშავებაზე, შენახვაზე, ეტიკეტირებაზე, რეალიზაციაზე, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფაზე, ბიომენეჯმენტის, ასევე ბიომარკეტინგის უზრუნველყოფაზე. სამეცნიერო დაწესებულებებმა ასოციაციებთან ერთად უნდა შეძლონ ისეთი სამეცნიერო-საწარმოო ბაზის შექმნა, რომელიც გააადვილებს, გაამეცნიერებს ბიოწარმოებას და ყველაფერს ცალ-ცალკე საძებნელს არ გახდის დამწყები ბიომეურნისათვის.

რაც შეეხება თვითონ ბიომეურნეობას, იმისათვის, რომ მან სწორი გზით იაროს და გამართულად იმუშაოს, პატიოსნებასთან ერთად აუცილებლად დაჭირდება:

1. გაერთიანდეს ბიოსაწარმოო-სამეცნიერო ორგანიზაციაში.
2. მიიღოს შესაბამისი ცოდნა სპეციალიზებულ კურსებზე.
3. ჰქონდეს: ჯანსაღი ნიადაგი, სუფთა სარწყავი წყალი და კარგი ჰაერი.
4. მეცხოველეობა (არა აქვს მნიშვნელობა მსხვილფეხი იქნება თუ წვრილფეხი), ან მასთან სიახლოვე, ბიოჰუმუსის დამზადების უნარი.
5. ტექნიკა (საკუთარი ან დაქირავებული) და ტექნოლოგიები.
6. მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური, ხალხური და ლოცვითი საშუალებები.
7. სადაზღვევო გარანტიები.
8. საფინანსო ინსტიტუტებთან ხელმისაწვდომობა.
9. მობილური აღრიცხვის სისტემა.
10. ,,კავკასსერტში" დროულად გაწევრიანება და ინსპექტირების ხარისხიანად ჩატარების პირობები.
11. პროდუქციის დასაბინავებელ-შესანახი საშუალებები.
12. ბიომარკეტინგის მოთხოვნების შესრულების პირობები (ხარისხიანი და სერთიფიცირებული პროდუქციის სიუხვე, დროულად და უწყვეტად მიწოდების ხელშეკრულებები, შიდა და გარე ბიობაზრის არსებობის გარანტიები და სხვა).
13. ყოველივე ამ და შესაძლო სხვა მოთხოვნათა კომპლექსურად გადაწყვეტის უნარი.

ზემოჩამოთვლილი პირობების სირთულემ შეიძლება რომელიმე ფერმერი დააბრკოლოს, მაგრამ აქ შეუძლებელი არაფერია, თუ სახელმწიფო და მთავრობა ზურგს არ შეაქცევს ამ საშვილიშვილო საქმეს, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, ასოციაციები და თვითონ ფერმერები ერთობლივად, ორგანიზებულად და კარგად იმუშავებენ, ბოლომდე უერთგულებენ საკუთარ საქმეს, ხალხს და ქვეყანას.

ლერი ჯალაბაძე,
,,ეკოსანდოს" გენერალური დირექტორი, ეკონომიკის დოქტორი, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბიოფერმერი

მეცხოველეობა

ძროხის ადგილობრივი ჯიშების მნიშვნელობა ორგანული მეურნეობისათვის

საერთო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნილება იზრდება, რაც ფერმერულ მეურნეობებში ორგანული მეთოდების დანერგვის წინაპირობას ქმნის.

მსოფლიო გენოფონდის რესურსების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სანაშენე საქმის გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის დონის ამაღლებაში. არსებული ჯიშების დაცვა, ჯიშის შიგნით ინდივიდთა შორის მრავალფეროვნების შენარჩუნება წარმოადგენს სასელექციო მუშაობის წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობას.

ინტენსიურმა სელექციამ განაპირობა მსხვილფეხა პირუტყვის სპეციალიზირებული ჯიშების შექმნა, რამაც მიგვიყვანა სერიოზულ პრობლემამდე და გენეტიკური მრავალფეროვნების კატასტროფულ შემცირებამდე.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გენეტიკური რესურსების გაღარიბება იწვევს მრავალმხრივ უარყოფით შედეგებს: უარესდება მუდმივად ცვალებად გარემოსთან ცხოველთა ადაპტაციის უნარი, ეცემა სელექციის ეფექტურობა, იკარგება ღირებული მასალა შინაური ცხოველების ევოლუციისა და სხვადას-

ხვა ჯიშების წარმოშობის შესასწავლად და სხვ.

გასული საუკუნის 60-ნი წლებიდან ჩვენში დიდი რაოდენობით შემოიყვანეს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ე.წ. კულტურული ჯიშები, ხოლო ადგილობრივი გენოფონდის დაცვას ყურადღება არ ექცეოდა. შედეგად, კრიტიკულ ზღვრამდე შემცირდა ადგილობრივი ჯიშების რიცხოვნობა, ზოგიერთი მათგანი კი გადაშენების პირას მივიდა. ამას დაემატა ბოლო პერიოდში განხორციელებული უსისტემო შეჯვარებები, რამაც გაქრობის პირამდე მიიყვანა ეს უნიკალური ჯიშები.

ორგანული მეცხოველეობა ითვალისწინებს ცხოველების მოვლა/შენახვას თავისუფლად, საძოვრების მაქსიმალურად დიდი ფართობების გამოყენებით. ცხოველების ასეთი სისტემის შენახვისას ნარჩუნდება საძოვრის ბალახნარი, ხოლო გამოყოფილი ნაკელი თანაბრად ნაწილდება საძოვრის მთელ ფართობზე, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერებას.ორგანულ მეურნეობაში ცხოველები მთელი წლის განმავლობაში იმყოფებიან ბუნებრივ პირობებში და საკვების მოსაპოვებლად ისინი მუდმივად მოძრაობენ, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი იმუნიტეტის გამომუშავებას და გაძლიერებას. ამიტომ ორგანულ მეცხოველეობაში პრიორიტეტი ენიჭებათ ცხოველთა ადგილობრივ ჯიშებს.

დაავადებებისა და არასასურველი გარემო პირობებისადმი გამძლე ჯიშების

და ხაზების შექმნის ერთ-ერთი სწრაფი და იაფი გზაა ადგილობრივი გენოფონდის გამოყენება. ამავე დროს, თუ არ იქნება მიღებული სწრაფი და ეფექტური ღონისძიებები, არსებობს მათი უკვალოდ გაქრობის საშიშროება. ამ მხრივ შემაშფოთებელია FAO-ს მონაცემები, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ჯიშების 45% ან რისკის ჯგუფშია, ან უკვე გადაშენდა.

ითვლება, რომ აბორიგენული ჯიშები რაოდენობრივად შეზღუდული ცხოველთა ჯგუფებია, რომლებიც მრავლდებიან ცალკეულ რეგიონებში. ეს შეზღუდულობა განპირობებულია იმით, რომ ეს ჯიშები ან არც თუ ისე კარგად ეგუებიან სხვა გარემო პირობებს, ან მათი სამეურნეო სასარგებლო თვისებები არ არის საკმაო დონეზე განვითარებული, ან და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისას ეკონომიურად არაკონკურენტუნარიანი არიან. როგორც წესი, ასეთი ჯიშები თანდათან ქრებიან ან უკეთეს შემთხვევაში სტაბილურად უზრუნველყოფენ თავიანთი გენეტიკური რესურსების აღწარმოებას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ჯიშები ხასიათდებიან სპეციფიკური თვისებებით, რაც განაპირობებს მათი შენარჩუნების პრობლემას. ადგილობრივ ჯიშებს ახასიათებს უნიკალური შემგუებლობის უნარი გარემო პირობებთან, ეფექტური და რაციონალური გამოყენება ბუნებრივი საძოვრებისა და ორგანიზმის მაღალი რეზისტენტობა ზოგიერთი დაავადებებისადმი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ უკანასკნელთა სანაშენე გამოყენების ეფექტურობის გაზრდას ძვირფასი შიდაჯიშობრივი გენოფონდის საფუძველზე.

საქართველოში დიდი პერსპექტივა აქვს მაღალმთიან რეგიონებში კლიმატოლოგიური და ბალნეოლოგიური კურორტების და სამთო ტურიზმის განვითარებას. ამდენად, ქართული მთის ჯიშის პირუტყვის გენოფონდის გადარჩენა სერიოზულ დატვირთვას იძენს, რამეთუ აღნიშნულ ზონაში სხვა კულტურული ჯიშების მოშენება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ პირუტყვის გამოყენება მიზანშეწონილია მაღალმთიანი რეგიონების და კუროროტების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით მომარაგების მიზნით. ამასთან ერთად, საწარმოო საშუალებების (დამატებითი საკვების, შრომის და სხვ.) მინიმალური დანახარჯით ისინი გვაძლევენ ეკოლოგიურად სუფთა ორგანულ საკვებ პროდუქტებს და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ხშირად კი ერთადერთი წყაროა.

მათი ღირსება და კონკურენტუნარიანობა გამოიხატება იმითაც, რომ კონკრეტულ გარემოში ისინი ბევრად უფრო დიდ პროდუქტიულობას ავლენენ, ვიდრე საყოველთაოდ აღიარებული კულტურული ჯიშები. მიზანშეწონილი იქნება ადგილობრივი ჯიშების გენოფონდის კომპლექსისა და სასელექციო გამოყენების მეთოდების შემუშავება ასევე რეზისტენტობის ასამაღლებლად. სელექციის წარმართვისათვის რეზისტენტობის მიხედვით ადგილობრივი ჯიშების გენოფონდი დიდ რეზერვს წარმოადგენს.

მიზანმიმართული შერჩევა/გადარჩევის მეთოდებით სრულფასოვანი კვების ფონზე ეტაპობრივად შესაძლებელია ამ ჯიშების აღდგენა და პროდუქტიულობის გადიდება. ამ შემთხვევაში უპირატესობას ვანიჭებთ ხალასჯიშიან მომშენებლობას, თუმცა არ გამოვრიცხავთ დართვითი შეჯვარების გამოყენებას დაბალპროდუქტიულ ნახირებზე. ასეთი სანაშენე მეთოდების გამოყენებით სელექციის ეფექტურობა ყოველწლიურად 2,5%-მდე აიწევს, რაც ეტაპობრივად გააუმჯობესებს ძროხის ადგილობრივი ჯიშების პროდუქტიულობას.

ამავე დროს ცხოველის პროდუქტიულობის გენეტიკური პოტენციალი, რაც არ უნდა მაღალი იყოს ის, სრულფასოვანი კვების გარეშე ვერ გამომჟღავნდება.

ორგანულ მეცხოველეობაში ცხოველთა კვების მთავარი ამოცანაა ჯერ უზრონველყოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სასიცოცხლო პირობების დონის ხარისხი და მხოლოდ ამის შემდეგ - მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღება. ეს წესი მოქმედებს მთლიანად ორგანულ სოფლის მეურნეობაში, ხოლო მეცხოველეობაში მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უჭირავს განსაკუთრებული ადგილი იმ თვალსაზრისით, რომ აგროეკოსისტემის ორგანული ნივთიერებების წრებრუნვაში მას დამკვიდრებული აქვს დომინირებული პოზიცია.გათვლილია, რომ ეკონომიურად ეფექტურია მეწველი ფურის შენახვა მისი 10 წლის ასაკამდე, როდესაც მისი ლაქტაციური მონაწველი შეადგენს 35 000-40 000 კგ რძეს 7-8 ლაქტაციური პერიოდის განმავლობაში. მხოლოდ ასეთ შექმნილ ბაზაზე უკვე შესაძლებელი ხდება ორგანული მეცხოველეობის განვითარება.

როგორც წესი, ბიომეურნეობები სარგებლობენ ძირითადად საკუთარი

წარმოების საკვებით, არ ყიდულობენ კომბინირებულ საკვებს და ზრდიან სტიმულატორებს, მათ შორის ჰორმონებს, ვინაიდან ორგანული მეურნეობების მიზანია პროდუქციის ხარისხი და არა მასიური წარმოება. ასეთი ცხოველები, მართალია, ნაკლებად სწრაფად იზრდებიან, სამაგიეროდ პროდუქცია (ხორცი, რძის ნაწარმი) უვნებელია და გამოირჩევა საუკეთესო ხარისხით და საგემოვნო თვისებებით.

ამგვარად, თავისუფალი ძოვება, ორგანული საკვებით კვება და ცხოველების ბუნებრივ პირობებში შენახვა განაპირობებს ბიოხორცში და ბიორძეში გაცილებით მეტ ძვირფას ცილებს, ნაკლებ ცხიმის შემცველობას და ასევე უჯერი ცხიმოვანი მჟავების გაზრდილ რაოდენობას.

ორგანული მეცხოველეობა ეყრდნობა სამ ძირითად პრონციპს - მოძრაობა, მზე და ცხოველთა ბუნებრივი კვება. შედეგად ვღებულობთ ძვირფას და უვნებელ პროდუქციას (ხორცი), რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი სამრეწველო მეცხოველეობის პროდუქტებისგან ხარისხიანი ცილებით, ნაკლები ცხიმის შემცველობით (20-20%-ით) და ვიტამინებისა და მინერალების მდიდარი ნაკრებით.

ორგანული სოფლის მეურნეობის გასაოცარი ზრდის პროცესი მიმდინარეობდა გასული სუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოსა და ევროპის რადიკალური გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, რაც გამოწვეული იყო მთელი რიგი ფაქტორების ერთობლივი გავლენით. პირველი იყო მომხმარებლების მზარდი შეშფოთება სურსათის ეკოლოგიური უვნებლობითა და გარემოზე ინდუსტრიული მიწათმოქმედების ნეგატიური გავლენით. ამის გამო სულ უფრო იზრდებოდა მოთხოვნა ორგანულ პროდუქციაზე.

ორგანული პროდუქციის ბაზარი ყოველწლიურად იზრდება, მოთხოვნა წინ უსწრებს შემოთავაზებას უფრო მაღალი ფასებით. ძლიერ სტიმულად ითვლება პირდაპირი დოტაციები კონვერსიაზე და ორგანული მეურნეობების შემდგომი განვითარება. დოტაციების ფასი მერყეობს სხვადასხვა ქვეყნებში 500-დან-1500 ევრომდე/ჰა წელიწადში. პრემიებთან ერთად სუბსიდიები გაზრდიან წვრილი ფერმერული მეურნეობების გადარჩენის შანსებს.

ორგანული მეცხოველეობის განვითარება დაიწყო უფრო გვიან, ვიდრე ორგანული მემცენარეობა და იურიდიულად გაფორმდა 1999 წელს. ამჟამად ის ძალიან სწრაფად ვითარდება (ხორცის, კვერცხის, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება) ორგანულ საკვებწარმოებასთან ერთად.

რუსუდან ბარქალაია,
ჯუბა ნაცვალაძე

ვაგრძელებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებული „საკვები კულტურების აგროწესების“ ბეჭდვას.

საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აგროწესები

გაგრძელება, დსაწყისი № 7-9,12

9. ნიადაგის დამუშავება

საშემოდგომო თესვისათვის ნიადაგი უნდა მოიხნას წინამორბედი კულტურის მოსავლის აღებისთანავე წინმხვნელიანი გუთნით 22-25 სმ. სიღრმეზე, ხოლო გაეწრებულ ან მცირესახნავი ფენის ნიადაგებზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მცირეა, ხვნის სიღრმე შესაბამისად უნდა შემცირდეს. სარეველების წამოზრდის შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს კულტივაცია ბელტის გადაბრუნების გარეშე გამაფხვიერებელი თათებით. თესვის წინ კი უნდა ჩატარდეს დაფარცხვა ან კულტივაცია ერთდროული დაფარცხვით ხნულის მდგომარეობის მიხედვით.

საგაზაფხულო თესვისათვის ნიადაგის დამუშავება წარმოებს მზრალად. თუ წინამორბედი თავთავიანია, მოსავლის აღებისთანავე ნიადაგი უნდა აიჩეჩოს 5-6 სმ სიღრმეზე და მოიხნას შემოდგომაზე მზრალად წინმხვნელიანი გუთნით სრულ სიღრმეზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკვეთი წინამორბედი კულტურისაგან მოგვიანებით თავისუფლდება, ნიადაგი დაუყოვნებლივ უნდა მოიხნას სრულ სიღრმეზე და ერთდროულად დაიფარცხოს.

ზაფხულში ნაწვერალზე თესვისათვის ხვნა წარმოებს წინამორბედი კულტურის მოსავლის აღებისთანავე 16-18 სმ სიღრმეზე წინმხვნელიანი გუთნით. თესვის წინ უნდა ჩატარდეს დაფარცხვა დისკოებიანი ფარცხით და მსუბუქი ფარცხით (“ზიგზაგით”) ან მარტო დაფარცხვა კბილებიანი ფარცხით;

მთაგორიან ადგილებში და ფერდობებზე ნიადაგის ძირითადი მოხვნა უმჯობესია ადრე გაზაფხულზე ჩატარდეს და ნიადაგის შემდგომი დამუშავების

ყველა ოპერაცია წარმოებდეს ფერდობის დახრილობის გარდიგარდმო მიმართულებით;

ჭარბტენიანი მიწების შემოდგომაზე ხვნა და ზამთრის პერიოდში დატოვება არ არის სასურველი; ასეთი ნიადაგების ხვნა უმჯობესია ადრე გაზაფხულზე ჩატარდეს;

მზრალად მოხნული ნიადაგი ადრე გაზაფხულზე პირველი შეძლებისთანავე უნდა დაიფარცხოს. თესვის წინ საკმარისია დაიფარცხოს და შემდეგ კი დაითესოს. დასარევლიანების შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს კულტივაცია დაფარცხვით. ტენიან რაიონებში სარეველა მცენარეების გაძლიერების ან ბელტიანი ხნულის გამო, როდესაც საკმარისი არ იქნება კულტივაცია, შეიძლება ჩატარდეს აოშვა 9-10 სმ სიღრმეზე ერთდროული დაფარცხვით.

ნიადაგის განოყიერება

ნიადაგის განოყიერება უნდა ჩატარდეს მისი ნაყოფიერების გათვალისწინებით კარტოგრამების მიხედვით; სადაც საამისოდ გამოკვლევები არ ჩატარებულა, ეს ღონისძიება შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს: სუფთა ნათესი ერთწლოვანი პარკოსნებისათვის უნდა შევიტანოთ 60-90 კგ ფოსფორიანი და 45-60 კგ კალიუმიანი სასუქები მოქმედ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით. აღნიშნულ დოზას პარკოსნების სათესლე ნაკვეთებზე უნდა დაემატოს ჰექტარზე 15-25 კგ აზოტოვანი სასუქები (დაფქვილი კირი, ტკილი, დეფეკაციური ტალახი და სხვა), ნიადაგის ჰიდროლიტური მჟავიანობის მიხედვით.

მარცვლოვანი ბალახებისათვის ნიადაგში შეაქვთ როგორც ორგანული, ისე სრული მინერალური სასუქები შემდეგი რაოდენობით: ნაკელი – 20-25 ტ/ჰა, მარტო მინერალური სასუქების შეტანის დროს აზოტი – 40-45 კგ/ჰა, ფოსფორი 60-90 კგ/ჰა და კალიუმი 45-60 კგ/ჰა სუფთა საკვებ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით.

ერთწლოვანი მარცვლოვანი და პარკოსანი ბალახების ნარევისათვის ნიადაგში შეაქვთ ორგანული სასუქები 10-15 ტ/ჰა-ზე ან სრული მინერალური სასუქი: აზოტი – 25-30 კგ/ჰა, ფოსფორი – 60-90 კგ/ჰა და კალიუმი 45-60 კგ/ჰა სუფთა საკვები ელემენტების მიხედვით.

ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები შეტანილი უნდა იქნას ხვნის დროს, ხოლო აზოტი უშუალოდ თესვის წინ და გამოკვებისას.

ერთწლოვანი ბალახების გამოკვება უნდა ჩატარდეს ზრდა-განვითარების დასაწყისში ნათესის მდგომარეობის მიხედვით. თუ ძირითადი სასუქები შეტანილი იყო საჭირო რაოდენობით და თავის დროზე, მაშინ პარკოსნების სუფთა ნათესებისათვის შეაქვთ აზოტი 20 კგ/ჰა და ფოსფორი 30 კგ/ჰა-ზე მოქმედი ნივთიერება. მარცვლოვანი და პარკოსანი ბალახების ნარევის გამოსაკვებად შეტანილი უნდა იყოს აზოტი და ფოსფორი იმ რაოდენობით, რამდენიც მარცვლოვანი ბალახების გამოსაკვებად არის საჭირო. უფრო გადიდებული დოზებით (20-30%-ით) გამოკვება უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი სასუქი ან არ იყო შეტანი-

ცხრილი 7.

ერთწლოვანი საკვები ბალახების თესვის ნორმები და ჩათესვის სიღრმე კულტურების მიხედვით

კულტურები	ჰექტარზე, კგ		სათესლედ	ჩათესვის სიღრმე სმ-ში
	საკვებად			
	სუფთა	ნარევი		
საგაზაფხულო ცერცველა	150-170	110-130	120-140	4-5
საშემოდგომო ცერცველა	130-150	90-110	110-120	4-5
ბარდა	230-250	150-170	180-200	5-6
საკვები ბარდა (ხანდური)	180-200	130-150	140-160	4-5
ცულისპირა	160-180	100-120	120-140	4-5
ცერცვი	120-150	80-120	110-120	6-7
სოია	60-80	35-40	30-40	5-6
ხანჭკოლა	180-200	100-130	120-140	4-5
შაბთარი	15-20	-	15-20	2-3
ინკარნატული სამყურა	30-35	18-20	20-25	1-2
კოინდარი	15-18	10-12	12-15	1-1.5
სიმინდი	35-40	30-35	30-35	5-6
სორგო	20-25	15-20	15-20	3-4
სუდანურა	25-30	15-20	15-20	3-4
ქვრიმა (მოპარი)	15-20	8-10	10-12	2-3
ფეტვი	22-25	10-12	18-20	2-3
შვრია	200-220	60-70	130-150	4-5
ჭვავი	150-107	80-100	110-130	4-5
ქერი	140-160	100-120	180-200	4-5
რაფსი	7-8	4-5	6-7	2-3

ლი ან შეტანილი იყო მცირე რაოდენობით, ან როდესაც აღმონაცენი სუსტია. გამოკვების დროს სასუქი შეიტანება მწკრივთაშორისებში კულტივაციის ან მორწყვის წინ, მთლიან მოთესილ ნათესებში – დამუხლების დაწყებამდე.

თესვის ვადები, ნორმები და წესები

თესლს უნდა ჰქონდეს კარგი თესვითი ღირსებები და აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ მოთხოვნილებებს;

ერთწლოვანი საკვები ბალახები ითესება მაშინ, როდესაც ნიადაგი იმდენად შეშრება, რომ სათესის მუშაობა არ დაბრკოლდება და 10 სმ სიღრმეზე დასათესი კულტურებისათვის შესაფერისი ტემპერატურა დამყარდება;

ერთწლოვანი პარკოსანი კულტურები სითბოს მიმართ შედარებით ნაკლებ მომთხოვნი არიან, მათი თესლი გაღვივებას იწყებს 10-20 გრადუსი სითბოს პირობებში, აღმონაცენი უძლებს მოკლე ხნით 50-60 გრადუს ყინვას, ხოლო თოვლის საფარქვეშ უფრო მეტსაც. ტენის მიმართ სამარცვლე პარკოსანი კულტურები ძალიან მომთხოვნი არიან, განსაკუთრებით ზრდა-განვითარების დაწყების პერიოდში. ბარდა, ხანდური, ცულისპირა, ცერცვი, ცერცველა, ხანჭკოლა, შარბათი მართალია გრილი ჰავის მოყვარული მცენარეებია, მაგრამ მათი მოყვანა წარმატებით შეიძლება საქართველოს თითქმის ყველა რაიონში;

ბარდა, ხანდური, ცულისპირა, ცერცვი და ცერცველა კარგად იტანენ სიცივეს, ამიტომ მათი თესვა უნდა ჩატარდეს ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე მინდვრის სამუშაოების დაწყების პირველ დღეებში. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში, სადაც წყალი არ დგება, ეს კულტურები შეიძლება შემოდგომასა და ზაფხულში დაითესოს, აღმოსავლეთ საქართველოში კი ძირითადად ზამთრის ბოლოს, ადრე გაზაფხულზე და ზაფხულში. საშემოდგომო ცერცველა ითესება საშემოდგომო თავთავიანების თესვის ვადებში;

სიმინდი, სორგო, სუდანურა და ფეტვი აღმოცენებას იწყებენ მაშინ, როდესაც ნიადაგის 10 სმ-იან ფენაში ტემპერატურა 10-12 გრადუსს მიაღწევს. ეს მცენარეები აღმოცენების დროს ვერ იტანენ ყინვას და ადვილად იღუპებიან; სიცივისაგან წამონაზარდიც ზიანდება, ამიტომ ისინი უნდა დაითესოს მოგვიანებით. აღნიშნული ტემპერატურის პირობებში ჯერ ითესება სიმინდი და ფეტვი, ხოლო თესვის შუა პერიოდში ან მის შემდეგ – სორგო და სუდანურა. მწვანე კონვეიერისათვის სორგო და სუდანურა ითესება 2-3 ვადაში 10-15 შუალედით.

ნათესის დანიშნულების მიხედვით ერთწლოვანი საკვები ბალახები უნდა დაითესოს განსაზღვრული სათესი ნორმით და ნიადაგში გარკვეულ სიღრმეზე (ცხრილი 7).

თესვის აღნიშნული ნორმები საორიენტაციოა და გათვალისწინებულია პირველი კლასის კონდიციური თესლებისათვის. თესვის ნორმა შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივი პირობების, ნათესის დანიშნულების, ჯიშის, აგროტექნიკურ ღონისძიებათა და სხვათა გათვალისწინებით. თესლის ნაკლები სამეურნეო ვარგისიანობის შემთხვევაში (მაგრამ სტანდარტის ფარგლებში) თესვის ნორმა სათანადოდ უნდა გადიდდეს. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ნაწვერალზე, აგრეთვე მობნევით თესვისას ნორმა უნდა გადიდდეს 10-15%-ით;

ბარდა, ხანდური, ცულისპირა, ცერცველა, ინკარნატული სამყურა, ხანჭკოლა, კოინდარი ითესება მარცვლოვანი

კულტურების სათესით მწკრივებს შორის 7,5-15 სმ დაშორებით. სიმინდის, ცერცვის და სოიას თესვა წარმოებს სიმინდის სათესი მანქანებით ფართო მწკრივებში. მათი თესვა შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე კვადრატულ-ბუდობრივი ან ბუდობრივი წესით, ბუდნებს შორის 45X45, 45X70 და 70X70 სმ, ბუდნაში 4-6 თესლის ჩათესვით.

მსხვილთესლიანი ბალახების თესვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამომთეს აპარატს (კოჭებმა თესლი არ უნდა დაამტვრიოს).

სამეურნეო დანიშნულების, კლიმატურ-რელიეფური პირობებისა და ჯიშის მიხედვით სიმინდი და სორგო ითესება როგორც სუფთა, ისე ნარევებში პარკოსნებთან: მწკრივად, მწკრივთა შორის მანძილი – 45-60-75 სმ, მწკრივებში მცენარეთა შორის დაცილება 15-20-30 სმ; ფართომწკრივიან ზოლიან ნათესად ზოლებშორის 45-60 სმ, მწკრივებშორის – 15 სმ, მწკრივში მცენარეთა შორის — 15-20-30 სმ და ბუდობრივად – 50X60, 70X40, 60X40 სმ ბუდნაში სიმინდის 2 და სოიას 2-3 მცენარის დატოვებით. სორგოს ბუდობრივად თესვის დროს მცენარეთა რაოდენობა ბუდნაში იზრდება 4-5 მცენარემდე, კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დროს კვების არე უნდა იყოს 45X45, 50X50, 60X60, 70X70 სმ. ბუდნაში სიმინდის ორი და სოიას 2-3 მცენარის დატოვებით. გვალვის პირობებში აღნიშნული კულტურები უნდა დაითესოს შედარებით გადიდებული კვების არითა და ბუდნაში შემცირებული მცენარეთა რაოდენობით;

სუდანურა და ფეტვი მწვანე საკვებად და სათივედ უნდა დაითესოს ჩვეულებრივად მწკრივში მწკრივთა შორის 7,5-15 სმ მანძილით, სათესლედ და სასილოსედ კი ფართო მწკრივებში (30-45 ან 60 სმ);

ერთწლოვანი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების ნარევის თესვა შეიძლება ჩატარდეს ერთდროულად და ერთი სათესლე ყუთიდან. თესვის დროს ყუთში თესლი გამუდმებით უნდა აირიოს; როდესაც კომპონენტების თესლი ზომით იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ერთი ყუთიდან მათი თესვა არ ხერხდება, მაშინ თესვა უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე, ერთმანეთზე გადაბმული მისაბმელი სათესი მანქანებით;

ერთწლოვანი წვრილთესლიანი ბალახების თესვის შემდეგ ნიადაგი კარგად უნდა დაიტკეპნოს საგორავებით. ეს ოპერაციები განსაკუთრებით საჭიროა მშრალ რაიონებში და სანაწვერალო თესვის პირობებში, როდესაც ხნული ბელტიანია; ნიადაგის დატკეპნა თესვის წინაც უნდა ჩატარდეს. სასურველია ნიადაგის დატკეპნა თესვასთან ერთად მიმდინარეობდეს ერთ აგრეგატში.

გრეიპფრუტის ნაყოფების სამკურნალო მნიშვნელობა და მათი გამოყენება

ნაშრომში მოცემულია გრეიპფრუტის ქიმიური შედგენილობა. აღწერილია ასევე გრეიპფრუტის სამკურნალო თვისებები და მისი გამოყენება სხვადასხვა პროდუქტის დასამზადებლად.

სახელწოდება „გრეიპფრუტი" ინგლისურად „ყურძნის ნაყოფს, მტევანს" (grape – მტევანი, fruit - ხილი) ნიშნავს. მისი ბოტანიკური სახელწოდებაა Citrus paradisi Macf. ის წარმოადგენს ფორთოხლისა და პომპელმუსის ჰიბრიდს და ეკუთვნის ციტრუსოვანთა გვარს. გრეიპფრუტი, როგორც ბოტანიკური სახე და კულტურული მცენარე, დაახლოებით ასი წლის წინ გახდა ცნობილი. ანტილიის კუნძულებზე მას მე-18 საუკუნის შუა ხანებიდან იცნობდნენ. კულტურულ მეციტრუსეობაში მე-19 საუკუნეში იქნა შემოტანილი. აშშ-ში ერთ-ერთ ძირითად სამრეწველო კულტურად მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში გადაიქცა. საქართველოში ძირითადად აჭარასა და აფხაზეთში გვხვდება. გრეიპფრუტის გავრცელებული ჯიშებია: დუნკანი, უთესლო მერში, ფოსტერი, საიუბილეო. მისი საუკეთესო ჯიშებია: „ინდიან რივერი", „ორუტ აილენდი", „სტარ რუბი", „რუბი რედი". ის ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე მარადმწვანე მცენარეა. ველური სახით არ გვხვდება და იოლად იმყნობა.

გრეიპფრუტს „სამოთხის ციტრუსაც" ეძახიან. მისი ნაყოფები ყვითელი, მომჟავო-მოტკბო გემოსია. წონა 240-520გრ. ფარგლებში მერყეობს. გრეიპფრუტის ნაყოფი შეიცავს: 88,8-90% წყალს; 6,5-8,7% ნახშირწყლებს (მ.შ. 3,8-7,4% შაქრებს), 1,2-2,4% ორგანულ მჟავებს (ჭარბობს ლიმონმჟავა), პექტინოვან და მღებავ ნივთიერებებს (ლიკოპინი 3,36 მგ%), ვიტამინებს (0,02-0,03 β-კაროტინი; 0,04-0,05 B_1; 0,02-0,03 B_2; 0,03 B_3; 0,03 B_5; 0,04 B_6; 0,2-0,23 მგ% მგ; 3 მკგ% ფოლაცინი, B_9, D, K, H, E, P).

დანარჩენი ციტრუსებისგან გამოირჩევა C ვიტამინის დიდი (33,8-60 მგ%) შემცველობით. ის იცავს უჯრედებს თავისუფალი რადიკალების დამღუპველი მოქმედებისაგან. გრეიპფრუტი ხანგრძლივად ინახება და ვიტამინებსა და სხვა ღირსებებს დიდხანს ინარჩუნებს.

მინერალური ნივთიერებებიდან ნაყოფი შეიცავს (მგ): 184-197 K, 23-34 Ca, 10-13 Na, 18-23 P, 0,5 Fe, 0,2 Zn, 64-67mkg Cu, 30მკგ Mn, 2მკგ I და სხვ.

ნაყოფის შემცველი ხსნადი პექტინი აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პერისტალტიკას, კურნავს ყაბზობას, ხოლო ეთერზეთი და ორგანული მჟავები აქტიურად უწყობენ ხელს საკვების მონელებას, აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებს. ნაყოფის შემცველი ლიმონმჟავა ხელს უშლის თირკმელებში ქვების წარმოქმნას.

გრეიპფრუტის დიდი რაოდენობით შემცველი ბიოფლავონოიდები სისხლის პლაზმაში ინარჩუნებენ E ვიტამინისა და აზოტის ჟანგის მაღალ დონეს და აფერხებენ სისხლძარღვების სკლეროტიზაციას. ამასთან, თრგუნავენ ოქსიდანტების, ჟანგბადის ქიმიურად აქტიური მოლეკულების სინთეზს და იცავენ ორგანიზმს შეშუპებისაგან.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები აჩქარებენ ინსულინის სინთეზს. ბოჭავს რა არაორგანულ კალციუმს, ნაყოფის შემცველი სალიცილის მჟავა ხელს უშლის სახსრებში მის ჩაკირვას. აქედან გამომდინარე, ნაყოფი ძალზე მნიშვნელოვანია ართრიტით დაავადებულთათვის, თუმცა იგივე მიზეზით არ შეიძლება გრეიპფრუტის გადამეტებით გამოყენება. აღნიშნული ელემენტის (კალციუმის) მნიშვნელოვან შემცირებას შეუძლია გამოიწვიოს ძვლოვანი ქსოვილის სიმყიფე. სალიცილის მჟავა ასევე უზრუნველყოფს ციებ-ცხელებისგან სწრაფად განკურნებას.

ნაყოფი შეიცავს ინოზიტოლს, რომელიც ხელს უშლის ცხიმების დაგროვებას და ღვიძლს ათავისუფლებს ტოქსინებისგან, ამაგრებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და ამცირებს შაქრის დონეს. გრეიპფრუტის შემცველი გლიკოზიდები და ვიტამინები ამცირებენ არტერიულ წნევას და ხელს უშლიან ათეროსკლეროზისა და სხვ. დაავადებების განვითარებას.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გრეიპფრუტის შემადგენლობაში შემავალი ფლავონოიდი ნარინგინი აფერხებს ორგანიზმში C ჰეპატიტის ვირუსის გავრცელებას. ის ასევე ხელს უშლის ორგანიზმის მიერ ცხიმების შეთვისებას, აუმჯობესებს ნაწლავების მოქმედებას და საკვების მონელებას, რაც ხელს უწყობს გახდომას.

გრეიპფრუტში აღმოჩენილი ფიტონუტრიენტი ლიმონენე პროფილაქტიკურად მოქმედებს კიბოს სხვადასხვა სახეზე, ხოლო ალკალოიდი ნატურალური ქინინი ამცირებს ტემპერატურას, აუმჯობესებს მადას.

გრეიპფრუტი მცირე რაოდენობით შეიცავს ცილებსა (0,7%) და ცხიმებს (0,2%). მისი კალორიულობა (29-40კკალ) ძირითადად ნახშირწყლებითაა განპირობებული.

რიგი მეცნიერის აზრით გრეიპფრუტის შემცველ შენაერთს სპერმიდინს შეუძლია ხელი შეუწყოს ცხოვრების ხანგრძლივობას.

გრეიპფრუტის შემცველი ნივთიერებები უზრუნველყოფენ ათეროსკლეროზის განვითარების შენელებას, ამცირებენ სისხლში დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების, ქოლესტერინისა

და ტრიგლიცერიდების კონცენტრაციას, რაც ემსახურება ათეროსკლეროზისა და გულის იშემიური დაავადების განვითარების პროფილაქტიკას.

კანი შეადგენს ნაყოფის მასის 30-40%-ს. ის მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს, ასევე პექტინოვან ნივთიერებებს, ეთერზეთებსა და გლიკოზიდებს. ეთერზეთს იყენებენ: შარდმდენად, მატონიზირებელ და ანტისეპტიკურ საშუალებად, კოსმეტიკური საშუალებების გასამდიდრებლად და სხვ. ის ხელს უწყობს აპათიის გადალახვას, მეხსიერების შენარჩუნებას, იმუნიტეტის გაზრდას. კანის შემცველი P ვიტამინი კბილებსა და ღრძილებს სიჯანსაღეს უნარჩუნებს.

ეთერზეთების ჭარბი რაოდენობით შემცველობის გამო გრეიპფრუტის ცედრას ფართოდ იყენებენ საკონდიტრო მრეწველობაში და ტკბილეულობის, ცუკატების, ჟელეს, ნაყენების დასამზადებლად, ცხობის დროს, მისგან ღებულობენ პექტინსა და ეთერზეთებს. გრეიპფრუტის ალბედოს შემცველი სიმსივნის საწინააღმდეგო აგენტები უზრუნველყოფენ კუჭის, კუჭქვეშა და წინამდებარე ჯირკვლების კიბოს პროფილაქტიკას, განაპირობებენ სისხლში ქოლესტერინის შემცირებას.

გრეიპფრუტის კურკების შემცველი ნივთიერებების ექსტრაქტები ნაწლავებსა და კუჭში თრგუნავენ პარაზიტების მოქმედებას.

გრეიპფრუტის წვენი მიუხედავად იმისა, რომ მჟავეა, ატუტიანებს ორგანიზმს. წვენს თვლიან სტრესთან და დეპრესიასთან ბრძოლის ბუნებრივ სამკურნალო საშუალებად. ის ხსნის დაღლას, თავბრუსხვევას, თავის ტკივილს.

ასეთი ქიმიური შედგენილობის გამო ნაყოფები სასარგებლოა ართრიტის, პოდაგრის, ცინგის, ოსტეოპოროზის, სისხლნაკლებობის, გულ-სისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ, ასევე გადატანილი მიოკარდის ინფარქტის შემდეგ. ისინი აუმჯობესებენ საკვების მონელებას, აქვეითებენ სისხლის წნევას, ნაწილობრივ აღმოფხვრიან ღვიძლის ფუნქციონალურ მოშლილობას, ზრდიან ორგანიზმის ცხოველმოქმედებას და გადაღლისას ძალების აღდგენას უწყობენ ხელს.

გრეიპფრუტის ნაყოფებს იყენებენ ნედლი სახით, აშრობენ, ამზადებენ მურაბებს, წვენებს, სასმელებს, ლიქიორებსა და ღვინოს, ჯემებს, იყენებენ საკონდიტრო ნაწარმში.

გრეიპფრუტის ზეთს იყენებენ საკონდიტრო და ლიქიორ-არყის წარმოებაში, ასევე პარფიუმერიაში სხვადასხვა ოდეკოლონისა და ტუალეტის წყლის დასამზადებლად.

ამგვარად, გრეიპფრუტი წარმოადგენს ეფექტურ მატონიზირებელ და ანტიდეპრესიულ საშუალებას, აქვს დიეტური, სამკურნალო და სხვ. თვისებები, თუმცა გასტრიტის, კოლიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, ასევე თირკმელების უკმარისობის დროს მისი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი; ასევე დაუშვებელია მისი გამოყენება სამკურნალო პრეპარატების მიღებისას.

გულნაზ კაიშაური,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის უფრ. მეცნ. თანამშრ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ჩხაიძე. სუბტროპიკული კულტურები. თბ. 2001).
2. Химический состав пищевых продуктов под ред. А.А.Покровского. М. 1977;
3. Химический состав пищевых продуктов. Справочные таблицы содержания аминокислот, жирных кислот, витаминов, макро- и микроэлементов, органических кислот и углеводов. под ред. М.Ф. Нестерина и И.М. Скурихина. М. 1979;
4. Химический состав пищевых продуктов. Справочные таблицы содержания аминокислот, жирных кислот, витаминов, макро- и микроэлементов, органических кислот и углеводов. под ред. И.М. Скурихина и М.Н.Волгарева. М. т.2. 1987).
5. Забусова В. В., Дамакова Е. А., Паршикова В.Н., Степень Р.А. Эфирные масла из отходов реализации и потребления плодов цитрусовых. // Химия растительного сырья. 1999.№4;
6. Кекенадзе Н.А., Джанакашвили Н.И., Фишман Г.Н. Эфирное масло плодов грейфрута Citrus Paradise, произрастающих в Грузинской ССР Хим. природн. соед. 1985. №1 და სხვ.).

The Medical importance and usage of Grape-fruits

G. Kaishauri — Academic Doctor of Technical Science, Head Scientist of Biotechnology center of Georgian Technical University

Summary

The article contains a chemical composition of Grape-fruit. There is also a description of medical features of Grape-fruit and their usage to produce various products.

საქართველოს სახელოვანი მეფე ერეკლე, გადახდილი ბრძოლების შემდეგ, ხანდახან სანადიროდ მიდიოდა ხოლმე.

ასე იყო შემოდგომის იმ მცხუნვარე დღესაც. ერეკლეს, თავისი ამალით, სოფელ ტოღნიანის მიდამოებში ენადირნა და უკან, თელავის სასახლეში გამობრუნებული, ამ სოფლის გზაზე მოდიოდა.

ჯერ თურმე გოგო-ბიჭებმა დაინახეს, სოფლის განაპირას რომ თამაშობდნენ. მაშინვე იცნეს, გამოიქცნენ და მთელ სოფელს ახარეს – მეფე ერეკლე მოდისო. სოფელში ისეთი სამხიარულო ჟრიამული დადგა, გეგონებოდათ ცა გაიხსნაო. მეზობელმა მეზობელს გადასძახა ღობიდან, ვინც მინდორში იყო, მიატოვა საქმე და მეფესთან შესაგებებლად გამოიქცა.

ამასობაში ქურანა ცხენზე მჯდომმა ერეკლე მეფემ, თავისი ამალით, სოფელში შემოაღწია.

– იდღეგრძელე, ჩვენო მეფევ, ჩვენო მწყალობელო!

– ვაშაა! ჩვენს ერეკლეს გაუმარჯოს! – ისმოდა ხალხის აღტაცებული ხმები. მოხუცი თუ ბავშვი, ქალი თუ კაცი მეფესთან ახლო მისვლას ცდილობდა. ერეკლე ყველას გულთბილად ესალმებოდა.

ერეკლემ ამ ზღვა ხალხში უცებ ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი.

– ბიჭო ნიკავ, შენ აქაური ხარ? – დაიძახა ერეკლემ. თავისი ჯარისკაცი იცნო კახთბატონმა... ეს იყო ოცი წლის წინ. მას მერე ცოტა შებერებულა ნიკა ამირანაშვილი, მაგრამ ისევ მხნედ არის. მაშინ კი ჭაბუკი იყო. ცხარე ბრძოლაში გართულ ერეკლეს ზურგიდან ერთი დევის აღნაგობის ოსმალო წამოეპარა, ნიკამ დაინახა და ფარად აეფარა თავის სათაყვანო სარდალს. ნიკა რომ არა, ვინ იცის რით დამთავრდებოდა ის ბრძოლა.

თვალწინ დაუდგა ერეკლეს ეს სურათი, ცხენიდან ჩამოხდა და მოახლოებულ ამირანაშვილს გულმხურვალედ შეეგება. მეფის ამალაც ერთბაშად ჩამოქვეითდა.

ნიკამ მეფის წინ დაიჩოქა და მის კალთას ეამბორა.

– ჩემო ნიკავ, ძალიან მესიამოვნა შენი დანახვა! – წარმოთქვა ერეკლემ, მხრებზე ორივ ხელი მოავლო, წამოაყენა და გადაეხვია.

– მეც მენატრებოდა თქვენთან შეხვედრა, ბატონო მეფევ!

ხალხში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

– დიდო მეფეო! – დაარღვია დუმილი ამირანაშვილმა, – დაღლილი იქნებით, გთხოვთ დამდოთ დიდი პატივი და თქვენი ამალით ჩემთან შემობრძანდეთ. შეისვენეთ, ცოტა შენაყრდით და შემდეგ გზა განაგრძეთ.

– მადლობელი ვარ, ჩემო ნიკავ, მაგრამ ამდენი ხალხით როგორ გეწვიო? რომ ძლიერ დაგაზარალებთ?

– არა უშავსრა, ბატონო მეფევ! ხუთსაპალნიანი ქვევრი სავსე მაქვს და ნუთუ არ გვეყოფა?

ამირანაშვილის შემდეგ ორ-სამმა ხანდაზმულმა გლეხმაც მეფეს გულითადად გაუმეორეს თხოვნა.

– რა გაეწყობა, მოვდივართ. ოღონდ ნანადირევი ჩეენი იყოს და ღვინო თქვენი! - ხალისიანად დასძინა სახეგაბრწყინებულმა ერეკლემ და მოკლულ გარეულ ტახებზე მიუთითა, რომლებიც მის მხლებლებს მოჰქონდათ.

ყველანი დაიძრნენ. ამირანაშვილის ფართო ეზოში რომ შევიდნენ, ერთ მხარეს სახელდახელოდ ცხენების დასაბმელი გააკეთეს. მიწაში ორკაპიანი ბოძები ჩაარჭეს, მასზე დიდი ხარიხა გადეს და თავები წნელებით გაუმაგრეს. ცხენებს პირიდან ლაგამები წამოაძრეს და აღვირებით მიაბეს. ჭაბუკებმა იქვე ორი თივის ზვინი დაშალეს და ცხენებს დაუყარეს.

– აბა, ბიჭებო, თქვენ გენაცვალეთ, მომეხმარეთ. ჩვენს საყვარელ ერეკლეს ყველაფერი დროულად მივართვათ და დიდხანს არ დავაყოვნოთ, – შესძახა ამირანაშვილმა ახალგაზრდებს, როცა მათთან მარტო დარჩა. – მე ღორს გავასუფთავებ, ჩემო პეტრე, შენ ის მოზვერი წამოაქციე. ზურა, შენ ქათმები დაკალი. ქალებს წავეშველოთ, დანარჩენი თვითონ იციან. დედაკაცო! – გასძახა მოშორებით მდგარ მეუღლეს: ხომ ხედავ, რა ბედნიერი დღე გაგითენდა! მზადა ხარ თუ არა სტუმრის დასახვედრად.

– მაშა ქა! ბედზე პური თონეში მქონდა ჩაკრული. ნაზუქებს პელო მიცხობს. მა, რას ვიზამ, მეფესთან ხომ არ შეგარცხვენ? – უპასუხა მეუღლემ და თავშალი შეისწორა.

თავი მოიყარეს მეზობლებმა, ყველა საქმეში იყო გართული, ჯარასავით ტრიალებდნენ, ზოგი წყლის მოსატანად გარბოდა, ზოგი ქათმებს ასუფთავებდა. ზოგი მწვანილს და ზოგიც რას, ვინ მოსთვლის.

მეფე კაკლის ხის ქვეშ სკამზე მოთავსდა. მის ახლოს, აქეთ-იქით მხლებლები დასხდნენ. ახალგაზრდებიდან ზოგი მოლზე დაჯდა და ზოგიც ფეხზე იდგა.

საქმეში გართულმა ამირანაშვილმა თავის ქალიშვილს დაუძახა:

– გოგო ლიზა! მეფე ბატონს და მის მხლებლებს ჭადრაკი და ნარდი მოართვი! სტუმრებმა არ მოიწყინონ, სანამ სუფრას გავშლიდეთ!

სულ მალე ყველა თამაშობამ გაიტაცა.

მასპინძელმა სუფრა დიდი კაკლის ხის ჩრდილში, მწვანეზე გააშლევინა. ქალიშვილები სუფრასთან ტრიალებდნენ, კოხტად აწყობდნენ ზედ ქორფა მწვანილს, შოთ პურებს, ნაზუქებს, ახალ თევზს, შემწვარსა თუ მოხარშულს. ნიკამ და მისმა მეზობლებმა, რაც კი სანუკვარი რამ გააჩნდათ, ყველაფერი მოიტანეს.

ლიზამ მამასთან მიირბინა და დაბალი, მღელვარე ხმით უთხრა:

– მამი, სუფრა გავშალეთ, ყველაფერი მზად არი, გარდა ღვინისა. ქვევრს პირს ვინ მოხდის, ვინ ამოიღებს?

– ახლავე, შვილო! – უპასუხა მამამ, თავისი საქმე იქვე მდგომ ჭაბუკს მიანდო, თვითონ მეფისკენ გაეშურა და მორიდებით მოახსენა:

– ჩვენო საყვარელო მეფევ! ასეთი ბედნიერი დღის აღსანიშნავად, გთხოვთ ქვევრს თქვენი ხელით მოხადოთ თავი და პირველი ღვინით სავსე ხელადაც თქვენვე ამოიღოთ.

ერეკლემ უპასუხა:

– მაგაზე როგორ გაწყენინებ, ჩემო ნიკავ!

მეფემ ნარდის თამაშს თავი მიანება, წამოდგა და მასპინძელს გაჰყვა. მარანში რომ შევიდნენ, მეფეს ნიკამ თოხი მიართვა. სახეგაბრწყინებულმა ერეკლემ ჩამოართვა და ქვევრს ჯერ მიწა ფრთხილად შემოაცალა, შემდეგ დაიჩოქა, თითებით მიწის ნარჩენები ნაპირებს მოაშორა, მოწმინდა და ქვევრს სარქველი ახადა. შუშხუნა ღვინომ მეფეს სასიამოვნო სურნელი შეაფრქვია.

– მადლიანი ღვინო მოგიყვანია, დაგელოცოს მარჯვენა! – თქვა მეფემ და ამირანაშვილს შეხედა. მეფის შექებამ მასპინძელს სიხარულის ფრთები შეასხა.

ერეკლეს მაშინვე ხელადა მიაწოდეს, მან კურთხეული მკლავით ჭურჭელი ქვევრში ჩაუშვა და აავსო.

პირსავსე ხელადა თვითონ მეფემ წაიღო და სუფრის თავში დადგა. ახალგაზრდებმა ხელადები, დოქები, თუნგები შეავსეს და სუფრასთან მიიტანეს.

სტუმრები, ღირსებისდა მიხედვით, სუფრას შემოუსხდნენ.

პირველი სადღეგრძელო სამშობლოს მიუძღვნეს, მეორედ – ერეკლეს სადღეგრძელო დალიეს. ამ ორი თავისუფალი სადღეგრძელოს შემდეგ თამადობა მეფეს მიულოცეს და ისიც მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

თვალებცქრიალა ქალიშვილები, აწითლებული ლოყებით, სუფრის გარშემო ფუსფუსებდნენ და სტუმრებს ცვრიან მწვადებს აწოდებდნენ.

დროსტარება გვიანობამდე გაგრძელდა. ბოლოს ნასიამოვნები მეფე წამოდგა, ამირანაშვილს მხარზე ხელი დაადო და მხიარულად უთხრა:

– მართლაც რომ კარგი დრო გაგვატარებინე, შენს პატივისცემას არ დავივიწყებ. სამაგიეროდ, რასაც მთხოვ, შეგისრულებ!

– ამაზე მეტი რაღა ვინატრო, დიდო მეფევ, ჩემს ოჯახში გხედავ! – უპასუხა ამირანაშვილმა.

– არა, არა, თუ რაიმე გულითა გსურს, ნუ მომერიდები, მითხარი და შენს სურვილს აგისრულებ – მტკიცედ გაუმეორა მეფემ.

– ჩემთვის ეს ბედნიერებაც საკმარისია, დიდო მეფევ!

მაშინ ერთმა მოხუცმა მეზობელმა ერეკლეს მიმართა:

– ჩვენო მწყალობელო, ნიკა პატიოსანი და მართალი კაცია. ნაცვლობა უბოძე. სოფელს მაგისთანად ვერავინ მოუვლის.

– აგრე იყოს, – დაიძახა ერეკლემ და ნიკას მიუბრუნდა – ყოჩაღი ხარ და მჯერა, მაგ მოვალეობასაც კეთილსინდისიერად შეასრულებ!

ამირანაშვილი ჯერ ხელზე ემთხვია, შემდეგ დაიჩოქა, მეფის სამოსელის კალთა შუბლთან მიიტანა და მის ბოლოს ეამბორა.

მეფე და მისი ამალა მასპინძლებს გულთბილად დაემშვიდობნენ.

* * *

მეფე ერეკლემ მეორე დღეს ამირანაშვილს ნაცვალთბოძების ფურცელი გამოუგზავნა და მას თეთრიც მოაყოლა.

ამირანაშვილმა ფული თანასოფლელებს გაუნაწილა.

ამ ღირსშესანიშნავი ამბის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. სოფელმა ამირანაშვილები ნაცვლიშვილებად მონათლა. ხუთსაპალნიანი ქვევრი შვილიდან შვილზე გადადიოდა. ბოლოს ნიკა ამირანაშვილის შვილიშვილის შვილმა იმავე სოფელ ტოღნიანის მცხოვრებ ალექსანდრე ლეონიძეს ის ქვევრი ქურანა ცხენში გაუცვალა (ალექსანდრე ლეონიძე მამაჩემი იყო).

მამაჩემმა ის ქვევრი თავის მარანში გადაიტანა. იმ ქვევრმა ჩვენს დრომდე მოაწია და ტოღნიანელები მას ახლაც ერეკლეს ქვევრს ეძახიან.

ლუიზა ლეონიძე,
გამოქვეყნდა ჟურნალ „დროშაში“ 1969 წ.





თირკმელა სოკო - ტრუფელი

თირკმელა სოკო (ტრუფელი) მიწის ქვეშ 10-დან 30 სანტიმეტრამდე სიღრმეზე იზრდება. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული დელიკატესია და კილოგრამის ფასი 800-დან რამდენიმე ათას დოლარამდეც კი მერყეობს.

თირკმელა სოკოები (Tuberales) ჩანთიანი სოკოების რიგს მიეკუთვნება და 250-მდე სახეობაა ცნობილი. არსებობს კავკასიური ტრუფელიც, მაგრამ საქართველოში ნაპოვნი არ არის.

ტრუფელის მთავარი ღირსება სპეციფიკური სუნი და გემოა. მოხალული ნიგვზის, კენკრის, ხავსის, ჩამოცვენილი ფოთლე-

ბისა და ტყის სურნელი – ასეთია ტრუფელის არომატთა გამა.

როგორც ვთქვით, ტრუფელის ბევრი სახეობა არსებობს: შავი (ზაფხულის და ზამთრის), თეთრი, ჩინური, მაგრამ ევროპაში უფრო მეტად გავრცელებულია ზამთრის შავი და თეთრი ჯიშები.

ზამთრის შავი ტრუფელი (tuber melanosporum) ნოემბერში ჩნდება და ყველაზე გემრიელი იანვარ-თებერვალშია. გვხვდება იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში, უფრო მეტად პროვანსის პროვინციაში.

ზამთრის შავი ტრუფელის არომატი გაცილებით დახვეწილია, ვიდრე თეთრის (tuber magnatum). ამასთან, ეს უკანასკნელი სწრაფადაც ქროლდება, ამიტომ დაუმუშავებელ, თხლად დაჭრილ თეთრ ტრუფელს უმატებენ კერძს. იტალიასა და საფრანგეთში ტრუფელების ბიზნესი ძალზე მომგებიანია, თუმცა კონკურენციაც დიდია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად ამ სოკოზე მონადირეთა რიცხვმაც იმატა.

ტრუფელებზე „ნადირობა" ღამის საქმიანობაა, რომელიც მრავალწლოვან გამოცდილებას, შრომისმოყვარეობასა და გამჭრიახობას მოითხოვს. ღამე, როცა სიო არ იძვრის, ჰაერში სოკოს მძაფრი სურნელი იოლი აღსაქმელია, ამიტომ სეზონის დადგომისთანავე ტყეები წყნარ ამინდში ჩირაღდნებითაა გაჩახჩახებული.

დელიკატესის ძებნაში მონადირეებს ღორები და ძაღლები ეხმარებიან. ამ საქმიანობისთვის ძაღლებს სპეციალურად გეშავენ: თავდაპირველად დედალ ლეკვებს რძეს ასმევენ, რომელსაც ტრუფელის ნაყენი ან ნახარში აქვს დამატებული, შემდეგ ტრუფელის სურნელით გაჯერებულ ნივთებს, უმეტესად ხის ნაჭრებს, სხვადასხვა ადგილზე მალავენ და მათ მოძებნას აიძულებენ. რაც შეეხება ღორებს, მათ არავითარი სპეციალური მომზადება არ სჭირდებათ. მგრძნობიარე ყნოსვის ორგანოს მეშვეობით ადვილად პოულობენ ტრუფელს, თუმცა აღმოჩენილი სოკოს არომატზე ისეთ „ნეტარებაში" ვარდებიან, მათი იმ ადგილიდან მოშორება ხშირად შეუძლებელიც კი ხდება.

ტრუფელის სეზონი ევროპის ბევრ რეგიონში ზეიმის მოწყობის დიდებული საბაბია. ამ პერიოდში ბაზრები, მაღაზიები და რესტორნები ეგზოტიკური არომატით ივსება.

იმ წელიწადს, როდესაც ამინდი ჩვეულებრივზე უფრო ნოტიოა, კარგი „მოსავალი" მოდის. ყოველმა მონადირემ ხუთი თითივით იცის ის ადგილები, სადაც სოკო იზრდება და დღის განმავლობაში რამდენჯერმე შემოირბენს ხოლმე.

რესტორატორები უპირატესობას გოლფის ბურთის ზომის ნაყოფს ანიჭებენ, რომელიც თხლად ადვილად იჭრება (თუმცა ზომა გემოვნებით თვისებებზე გავლენას არ ახდენს). კაფე-ბარები და რესტორნები მომცრო ულუფებად სთავაზობენ მომხმარებელს.

ფასიდან გამომდინარე მარტო ტრუფელს არ ამზადებენ. თხლად დაჭრილს ცხელ კერძს აყრიან. ამ დროს სოკო „დნება" და საჭმელს არაჩვეულებრივ არომატს აძლევს.

ტრუფელის ადგილსამყოფელის გამოცნობა ძალიან რთულია. სამეცნიერო კვლევებისა და ხალხური გადმოცემების მიხედვით როდის და სად ამოვა სოკო ამის გამოცნობა ფაქტობრივად შეუძლებელია, ეს უფრო გარემო პირობებზე, მათ შორის ნიადაგის ტიპსა და ტემპერატურაზეცაა დამოკიდებული. ტრუფელს რბილი, ფორებიანი, კალციუმით მდიდარი, ჟანგბადით გაჯერებული მიწა და უხვნალექიანი გარემო სჭირდება.

თუ გაგიმართლათ და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ტრუფელი იპოვეთ, იცოდეთ, ეს სოკო რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოამზადოთ და მიირთვათ. უმჯობესია მოხმარებამდე იგი ჰაერგაუმტარ კონტეინერში ან ქაღალდის პაკეტში გრილ და ბნელ ადგილას შეინახოთ. შესაძლებელია მჭიდროდ თავდახურულ კონტეინერში გაყინვაც..

ტრუფელისა და მისგან დამზადებული პროდუქტის ყიდვისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ხარისხს. ამ სოკოს ზოგიერთი სახეობა აღმოსავლეთ ევროპიდან შემოაქვთ. ქილაში კონსერვირებულმა ტრუფელმა შესაძლოა იმედი გაგიცრუოთ, მაგრამ არსებობს ერთი საინტერესო ვარიანტი – თხლად დაჭრილი თეთრი ტრუფელი შავი ტრუფელის წვენში. შეიძლება იყიდოთ ტრუფელზე დაყენებული მცენარეული ზეთი რბილი, გაწონასწორებული არომატით, რომელიც ნებისმიერ კერძს ამ სოკოს გამოკვეთილ გემოს მისცემს.

მომზადებულია www. vinoge.com გამოქვეყნებული მასალის მიხედვით

გემრიელი სადღესასწაულო კერძები

საახალწლო გოჭი

გოჭი გაასუფთავეთ, გარეცხეთ და გაამშრალეთ.

პირველ რიგში აჯიკისთვის მოამზადეთ ინგრედიენტები:

5-6 კგ წონის გოჭისთვის დაგჭირდებათ: ნიორი – 1 თავი; დაფქული წითელი წიწაკა – 70 გ; ხმელი ქინძი – 1 ჩაის კოვზი; ზეთი – 100 გრ; მარილი – გემოვნებით.

დანაყილი ნიორი და სანელებლები ერთმანეთში აურიეთ. დაამატეთ ზეთი. წაუსვით გოჭს აჯიკა ყველა მხრიდან,ასევე მუცლის ღრუშიც. მოათავსეთ თუნუქის ფურცელზე და 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში შედგით შესაწვავად. როდესაც კანი ოდნავ მოიბრაწება, ცეცხლს დაუწიეთ საშუალო ტემპერატურამდე და შეწვა ასე გააგრძელეთ. დროგამოშვებით გამოიღეთ და თავისივე გამოყოფილი ცხიმი მოასხით. აქა-იქ ჩანგლით ჩაჩხვლიტეთ, რომ ხორცი შიგნიდანაც შეიწვას. თუ გოჭი ნაადრევად დაიბრაწა, ფოლგა გადააფარეთ და ღუმელში

შეაბრუნეთ. დაახლოებით 20-25 წუთის შემდეგ შეგიძლიათ ფოლგა მოხსნათ და შეწვა ისე გააგრძელოთ.

შეწვის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გოჭს შემოუწყვეთ პომიდვრის ნაჭრები, რომელთაც ზედ მოსხმული ექნება ნებისმიერი თქვენი გემოვნებით შეზავებული სოუსი (ქინძის, მდოგვის და სხვ), მოაყარეთ ბროკოლის ან ოსპის ღვივები.

შემწვარი გოჭი ლანგარზე გადაიტანეთ, გარს შემოუწყვეთ ლიმნის ნაჭრები, ზეთისხილი, ყურძნის მარცვლები, შავი და წითელი მოცხარი, ქაცვი. შეაგრილეთ და მხოლოდ შემდეგ დაჭერით.

გოჭი უფრო გემრიელი გამოვა, თუ წინასწარ მის მუცელში დაჭრილ და აჯიკაში არეულ, მისივე გულ-ღვიძლს მოათავსებთ, გოჭის მუცელს სამზარეულოს ძაფით ამოკერავთ და ისე შეწვავთ.

შემწვარი ინდაური მწვანილებით

ინგრედიენტები:

გასუფთავებული, გარეცხილი და გამშრალებული ინდაური, 10 ს/კ დარბილებული კარაქი, 2 ს/კ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთლები, 1 ს/კ წვრილად დაჭრილი სალბის ფოთლები, 1 ს/კ წვრილად დაჭრილი როზმარინი, 1 ს/კ წვრილად დაჭრილი ქონდარი, კოშერული მარილი და ახალდაფქული პილპილი, 6 ჭ ქათმის ბულიონი, 3 დიდი სტაფილო (2,5 სმ-ს სიგრძის ნაჭრებად დაჭრილი), 3 ღერი ბოლქვიანი ნიახური, (2,5 სმ-ს სიგრძის ნაჭრებად დაჭრილი), ოთხად გაჭრილი 2 დიდი ხახვი

მომზადება:

ინდაური მაცივრიდან გამოვიღოთ და სანამ მის მომზადებას შევუდგებით, 1 საათი გავაჩეროთ. ბლენდერში ერთმანეთში ავურიოთ კარაქი, ოხრახუში, სალბი, როზმარინი და ქონდარი. მიღებულ კრემს დავუმატოთ მარილი და პილპილი. ღუმელი 220°C-მდე გავახუროთ. 4 ჭ ბულიონი საშუალო ზომის ქვაბში ჩავასხათ და საშუალო ცეცხლზე შევაცხელოთ. ინდაურის შიგნითა მხარეს მარილი მოვაყაროთ და მერე ნიახურის, სტაფილოსა და ხახვის ნარევის ნახევრით ამოვტენოთ. ინდაური გარედან კარგად გავპოხოთ მწვანილებიანი კარაქით და მოვაყაროთ ბლომად მარილი და პილპილი. დარჩენილი ბოსტნეული ინდაურის შესაწვავ ტაფაზე დავყაროთ და ამ ბოსტნეულზე ინდაური მოვათავსოთ. დარჩენილი ორი ჭიქა ბულიონი ტაფაზე დავასხათ და ღუმელში შევდგათ. დაახლოებით 45 წუთი გავაჩეროთ, სანამ ინდაური მოოქროსფრო-ყავისფრად არ დაიბრაწება. ღუმელის ტემპერატურა 180ºC-მდე შევამციროთ და ინდაური ღუმელში კიდევ 2,5 საათი გავაჩეროთ. ყოველ 15 წუთში ერთხელ ცხელი ბულიონი მოვასხათ ხოლმე, (აი, ქვაბში ცალკე რომ გავაცხელეთ ის) ხორცის გამოშრობა რომ ავიცილოთ თავიდან. ხორცის საზომი თერმომეტრი თუ გაქვთ, ინდაურში ჩარჭობილი თერმომეტრი ხორცის შიდა ტემპერატურას 70ºC-ს რომ გიჩვენებთ, ინდაური მზად იქნება. გამზადებული ინდაური ღუმელიდან გამოვიღოთ, დაფაზე გადავიტანოთ და ალუმინის ფოლგის ნაჭერი გადავაფაროთ. სანამ დავჭრით, ნახევარი საათი მაინც დავასვენოთ. ინდაურის შენაწვავ ტაფაზე დარჩენილი სითხე პატარა ქვაბში გადავწუროთ და

საშუალო ცეცხლზე ვადუღოთ შესქელებამდე. დაჭრილ ინდაურს მისივე წვენის სოუსი მოვაწუწოთ.

დაბრაწული ინდაური

ინგრედიენტები:

1 ცალი 5 ან 5,5 კგ-იანი ინდაური (გასუფთავებული), ზღვის მარილი და ახალდაფქული შავი პილპილი, 2 ხახვი (გაფცქვნილი და შუაზე გაჭრილი), 1 ლიმონი (შუაზე გაჭრილი), 1 თავი ნიორი (ჰორიზონტალურად შუაზე გაჭრილი), 6 ც დაფნის ფოთოლი, ზეითუნის ზეთი მოსაწუწად, შებოლილი ბეკონის 8 ნაჭერი; ლიმონიანი, ოხრახუშიანი და ნივრიანი კარაქისათვის: 275 გრ კარაქი, 1ს/კ ზეითუნის ზეთი, 2 პატარა ლიმონის გახეხილი ცედრა და წვენი, 2 ცალი ნივრის კბილი (დასრესილი), ოხრახუშის პატარა კონა (მარტო ფოთლები წვრილად დაჭრილი)

1. გავახუროთ ღუმელი 220°C-მდე. კარაქი ფართო ჯამში ჩავდოთ და მარილი და პილპილი მოვაყაროთ. ჩავასხათ ზეითუნის ზეთიც და კარგად მოვურიოთ. დავუმატოთ ლიმონის ცედრა და წვენი, დაჭყლეტილი ნიორი და დაჭრილი ოხრახუში. კარგად ავურიოთ.

2. გასუფთავებულ ინდაურს შიგნიდან ჩავაყაროთ მარილი და პილპილი და შემდეგ ხახვის, ლიმონის, ნივრის ნახევრებითა და 2 ცალი დაფნის ფოთლით დავტენოთ.

3. კისრის მხრიდან გულმკერდზე კანქვეშ თითი შევუცუროთ და კანი ხორციდან ავატყაოთ. ხელი მაქსიმალურ სიღრმეზე შევაცუროთ იმისათვის, რომ ინდაურის კანსა და ხორცს შრის არომატული კარაქი მაქსიმალურ სიღრმეზე შევტენოთ (კანი არ გახიოთ). იგივენაირად მოვიქცეთ ფეხების მხარესაც.

4. ინდაურის კანქვეშ სურნელოვანი კარაქის ნახევარი შევტენოთ და კარაქი კარგად რომ განაწილდეს და მაქსიმალურ სიღრმეზე შევიდეს, ფრთხილად დავამასაჟოთ (ასე ინდაურის ხორცს ზედმეტი გამოშრობისაგან დავიცავთ). დარჩენილი დაფნის ფოთლებიც ინდაურის კანსა და ხორცს შორის შევტენოთ გულმკერდის მიდამოებში. დარჩენილი კარაქით ინდაური ზემოდან მთლიანად გავპოხოთ. მოვაყაროთ ბლომად მარილი და პილპილი (ინდაური ბევრად უფრო გემრიელი გამოვა, ამ პროცედურას წინა დღეს თუ გააკეთებთ და ცელოფანში გახვეულს 1 ღამით მაცივარში გააჩერებთ).

5. დიდი ზომის ტაფაზე ინდაური გულმკერდით ზევით მოვათავსოთ. ზემოდან სულ რამდენიმე წვეთი ზეითუნის ზეთი მოვაწუწოთ. ინდაური ღუმელში შევდგათ და 10-15 წუთი გავაჩეროთ. გამოვიღოთ ღუმელიდან. ინდაურს ტაფაზე დაგროვებული გამდნარი კარაქი გადავასხათ და გულმკერდზე ბეკონის ლენტები დავაფინოთ. ისევ შევაბრუნოთ ღუმელში. ცეცხლი 180ºC-მდე დავწიოთ და დაახლოებით 2-საათნახევარი გავაჩეროთ (30 წუთი ყოველ კილოგრამზე). დროდადრო გადავასხათ ტაფაზე დაგროვებული წვენი.

6. ინდაურის მზაობის შესამოწმებლად ფეხის ყველაზე ხორციან ნაჭერში ჩაარჭვეთ დანა. თუ გამჭვირვალე და სუფთა სითხე გადმოვიდა (და არა სისხლიანი), ინდაური მზადაა. თუ ვარდისფერი სითხე გადმოვიდა, კიდევ 15 წუთი გააჩერეთ და ისევ შეამოწმეთ. და ასე, სანამ ბოლომდე არ შეიწვება.

7. მზა ინდაური დიდ ლანგარზე გადავიტანოთ და თბილ ადგილას 45 წუთით გავაჩეროთ. ჭამის წინ კანქვეშიდან დაფნის ფოთლები გამოვაცალოთ. ინდაური ცხარე საწებელთან ერთად მივირთვათ.

ომარ (დავით) ბედია

საქართველოს აგრარიკოს მეცნიერებს კიდევ ერთი შესანიშნავი მოქალაქე, გამორჩეული პიროვნება, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ (დავით) ბედია გამოაკლდა.

მთელი შეგნებული ცხოვრება ბატონმა დავითმა თავისი ქვეყნის წინსვლას და წარმატებებს მიუძღვნა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის აგროსაინჟინრო დარგის აღმშენებლობის საქმეში; შრომითი მოღვაწეობა დაიწყო მანქანათა საგამოცდო სადგურში რიგითი ინჟინრიდან განყოფილების გამგემდე; შემდეგ იყო მრავალი წლის დაუღალავი მუშაობა გაერთიანება "საქსოფლტექნიკის" სტრუქტურებში და ამ მიმართულებით კარიერა გაერთიანება "საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის თანამდებობით დაასრულა. შემდეგ იგი ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის თანამდებობაზე. იყო 150-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს და 2 პატენტის ავტორი, დაჯილდოებული იყო ქვეყნის ნამახალისებელი ჯილდოებით და "ღირსების ორდენით".

71 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან ქვეყნისადმი ვალმოხდილი ადამიანი, სულით და ხორცით მექანიზატორი, კარგი მეოჯახე, შესანიშნავი მეცნიერი, ერთგული მეგობარი და თავისი ქვეყნის უანგარო პატრიოტი. ომარ (დავით) ბედიას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების და მეგობრების გულებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

ზურაბ იაკობაშვილი

Syngenta Agro AG-ის (შვეიცარია) წარმომადგენლობა საქართველოში დიდი მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა მეთესლეობის დარგში წარმომადგენლობის მარკეტინგის მენეჯერი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი ზურაბ იაკობაშვილი.

დაიბადა 1957 წელს ქ. თბილისში ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების ანტონ იაკობაშვილისა და ანა მდივნის ოჯახში. ანტონ იაკობაშვილი წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურს. მისი ხელმძღვანელობით ამ კვლევითმა დაწესებულებამ გამოიყვანა და წარმოებაში დანერგა მინდვრის კულტურების მრავალი ჯიში და ჰიბრიდი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებით დაინტერესებას ზურაბ იაკობაშვილი ოჯახშივე ეზიარა. მან წარჩინებით დაამთავრა ჯერ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი სპეციალობით სელექცია-მეთესლეობა, შემდეგ მიწათმოქმედების ინსტიტუტის ასპირანტურა იმავე სპეციალობით და ასევე წარმატებით დაიცვა სამეცნიერო ხარისხი, გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი შრომა, რომელიც ეხება საშემოდგომო ხორბლის გენეტიკისა და სელექციის საკითხებს. სამეცნიერო და შრომითი მოღვაწეობის მანძილზე გაიარა სტაჟირება და აიმაღლა კვალიფიკაცია კიევის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, აშშ, გერმანიის, ისრაელის და სხვ. საკვლევ დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებში, გამოდიოდა მოხსენებებით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში. გარკვეული წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ის მოღვაწეობდა ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყველა სერიოზულ საერთაშორისო სოფლის მეურნეობის პროექტებში, რომლებსაც ახორციელებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ყურადღება დაიმსახურა, როგორც მაღალერუდირებულმა, უმაღლესი დონის სპეციალისტმა.

განსაკუთრებით გამოვლინდა მისი ნიჭი და უნარი მსოფლიოში აგრობიზნესის სფეროში ლიდერი კომპანიის Syngenta Agro AG საქართველოს წარმომადგენლობაში მოღვაწეობის პერიოდში. მართალია ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი იყო მისი საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობით გამოცდილი იქნა სიმინდის, მზესუმზირას და ბოსტნეული-ბაღჩეული კულტურების მრავალი ჯიში და ჰიბრიდი როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანსა და სომხეთში, სადაც შექმნა ამ კულტურების პორტფელი, რომელებმაც დიდი მოწონება დაიმსახურა სამივე ქვეყანაში. იგი დღენიადაგ იკვლევდა ჩვენი რეგიონისათვის საჭირო და აუცილებელი კულტურებისა და ჯიშების ასორტიმენტს და რეკომენდაციას აძლევდა წარმოებაში მათ დანერგვას, ყოველთვის მზად იყო გაეწია პრაქტიკული დახმარება ფერმერებისადმი და აგრარულ სფეროში დასაქმებული ყველა დაინტერესებული პიროვნებისადმი.

ზურაბ იაკობაშვილი იყო შესანიშნავი პიროვნება, კარგი მეოჯახე, მაღალი დონის სპეციალისტი, ამავე დროს თავმდაბალი, ყურადღებიანი, ერთგული საქმისა და მეგობრებისადმი. ამიტომ ვერაფრით მოგვინელებია ის წუხილი, რაც მისი უდროო გარდაცვალებითაა გამოწვეული. ვერასოდეს გამრთელდება ტკივილით დაჭრილი გული. ერთადერთი იმედი გვრჩება მის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს, რომ მის ნათელ ხსოვნას არასოდეს დავივიწყებთ, მისი დაწყებული საქმე გაგრძელდება, რითაც მისი სახელი უკვდავი იქნება. ჩვენო ზურაბ, ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს და მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა!

ზურაბ ლოლაძე,
Syngenta Agro AG
(შვეიცარია) წარმომადგენლობის

MASSEY FERGUSON

VALTRA

Challenger

AGCO
Your Agriculture Company

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ზვიადი ბერეგვაძე

ალექსანდრე გიორგაძე

მაია აღლოიშვილი

ანდრეა ბერეგვაძე

ალექსანდრე ჯოხაშვილი

ალექსანდრე ქოთოეთელაძე

ანზორ ალფასაძე

შოთა მატარაშვილი

ნანა ბასილაია

ნანა ბასილაია

გია ჯუღაშვილი

ზურაბ ჯიბუტი

მალხაზ ბუიტიშვილი

ალა ბასილაია

"მსოფლიო ტექნიკის" პარტნიორი კომპანიები

MASSEY FERGUSON · VALTRA · Challenger · DeLaval · MASCHIO · GASPARDO · JOSKIN · GRIMME · BERTOLINI our power, your passion · seppi m. · ARRIZZA · AGROMAW

"მსოფლიო ტექნიკის" ჯგუფში შემავალი კომპანიები

ეგრეთული საქართველო · Unifarm · NICE NUTS NUT COMPANY